

სამართლო უკითხოების და სამომავლის დაცვის სამართლო

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2014, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2014, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2014, №11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2014, №11

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქტორის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

ნებართვა მშენებლობაზე

გადაცევეფილება საქართველოს სახელი

№ბს-60-55(კ-13)

2 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. წკეპლაპე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: შპს „...“

მოპასუხევები: ქალაქ თბილისის მერია; სსიპ თბილისის არ-
ქიტექტურის სამსახური

მესამე პირი: შპს „რ...“

სარჩევის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსის მე-60¹ მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო
კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა;

სარჩევის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2011
წლის 22 ნოემბრის №12/155700-13 ინდივიდუალური ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარ-
გულების ბათილად ცნობა.

სარჩევის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2011 წლის 22 ნოემბრის ქ. თბილისის მერიის
სსიპ არქიტექტურის სამსახურის №12/155700 აქტით შპს „რ...“
ქ. თბილისში, №5-ის ფასადზე I კლასის სარეკლამო აბრების
განთავსების ნება დაერთო. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტი მოსარჩევემ გაასაჩივრა ქ. თბილისის მე-
რიაში, რომელმაც ადმინისტრაციული საჩივარი 2012 წლის 19
ივლისის №2065 განკარგულებით არ დააკმაყოფილა. მოსარჩე-
ლის განცხადებით, შპს „რ...“ სარეკლამო აბრა განთავსებულია
მის საკუთრებაში არსებულ კედელზე, რაც ზიანს აყენებს შპს

„....“ სამეწარმეო ინტერესებს, რადგან ხშირად კომპანიის ადგილი სარეკლამო აპრის გამო შპს „რ...“ საკუთრება ჰქონიათ, აგრეთვე აპრა განთავსებულია მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფასადზე, რითაც ილახება შპს „...“, როგორც მესაკუთრის ინტერესები.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა გაუქმდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹, 96-ე მუხლების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე.

მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს წერილობითი შესაგებელი საქალაქო სასამართლოში არ წარმოუდგენია.

მოპასუხე – ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლის შესაგებელი:

ფაქტობრივი – მოპასუხე – ქალაქ თბილისის მერია არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნებს მათი უსაფუძვლობის გამო. მერიის წარმომადგენლის განმარტებით, შპს „რ...“ მინიჭებული ნებართვა სარეკლამო აპრის განთავსების თაობაზე კანონიერია, ვინაიდან განთავსებული რეკლამა თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონებაზე – ფასადზე მისი განთავსებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური ქონების განყენებაზე იგი არ ახდენს გავლენას და წარმოადგენს ამხანაგობის საერთო ქონების ისეთ განვითარებას, რომელიც არ იწვევს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის გაზრდას ან ინდივიდუალური საკუთრებას. შპს „რ...“ რეკლამა არის განთავსებული იქ, სადაც მას ნება დაერთო, ანუ იმ საკადასტრო ერთეულზე, რომელზეც ნებართვა გაიცა.

მესამე პირის – შპს „რ...“ წარმომადგენლის თ. ტ-ის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მესამე პირის შპს „რ...“ წარმომადგენლი არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნებს. მისი განმარტებით, ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქ თბილისის მერიის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით კანონმდებლობა არ დარღვეულა.

სამართლებრივი: მესამე პირის – შპს „რ...“ წარმომადგენებულს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობაზე არ უმსჯელია.

საქმის გარემოებები:

შპს „...“ ქ. თბილისში, ... №5-ში განთავსებულ ..., ... ქუჩის და-საწყისში, ენევა სამენარმეო საქმიანობას.

ამავე მიკრო საფინანსო ორგანიზაცია შპს „რ...“ ენევა სა-მენარმეო საქმიანობას.

2011 წლის ქალაქ თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახუ-რის №12/155700-13 ნერილობითი თანხმობის საფუძველზე შპს „რ...“ I კლასის სარეკლამო აბრის განთავსების ნება დაერთო.

აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მო-სარჩელებ გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ქალაქ თბილისის მერიაში, რომელმაც ადმინისტრაციული საჩი-ვარი ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარგულებით არ დააკმაყოფილა.

რაონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხე სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №12/155700 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადასტურდა შპს „რ...“ კუთვნილი სარეკლამო აბრის (როგორც პირველი კლასის ობიექტის, რომელსაც არ სჭირდება მშენებლობის ნებართვის გაცემა) ქ. თბილისში, ... №70-ში მისახავე კუთვნილი ფართის (სა-კადასტრო კოდი №...) ფასადზე განთავსების შესაძლებლობა.

სარეკლამო აბრა „რ...“ განთავსდა შენობის ... ქუჩაზე გამო-მავალ ფასადზე.

მოსარჩელემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაა-საჩივრა ქალაქ თბილისის მერიაში და სსიპ არქიტექტურის სამ-სახურის მიერ გაცემული დასტურის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მერიის 2012 წლის 19 ივლისის №2065 გან-კარგულებით შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმა-ყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №70-ში (იგივე ... (... გამზ) ქ. 5) მდებარეობს ორ საკადასტრო ერთეულად დაყოფილი უძრა-ვი ქონება, კერძოდ:

ა) უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით №..., მიწის ნაკვეთი 11706 კვადრატული მეტრი, მასზე განთავსებული შენობა №3

საერთო ფართით 872,5 კვადრატული მეტრის ფართით. მოპა-სუხე სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №12/155700 ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ამ უძრავი ქონების თანამესაკუთრედ მოსარჩელე არ იყო რეგისტრირე-ბული, ხოლო შპს „რ....“ საკუთრებად რეგისტრირებული იყო შე-ნობა №3-ის პირველ სართულზე არსებული 81,95 მ2 ფართი;

ბ) უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით №..., მიწის ნაკვეთი 180 კვადრატული მეტრი მასზე განთავსებული შენობით. მოპა-სუხე სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №12/155700 ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ამ უძრავ ნივთზე თანამესაკუთრებად რეგისტრირებული იყვნენ რო-გორც მოსარჩელე (შენობის 339 კვადრატულ მეტრ ფართზე), ასევე შპს „რ...“ (შენობის 36 კვადრატულ მეტრ ფართზე).

სასამართლოს შეფასება სადაცვო ფაქტებთან მიმართე-ბაში:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფასა-დი, რომელზედაც განთავსდა სარეკლამო აბრა ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, საჯარო რეესტრის მონაცემის მიხედვით არ ეკუთვნოდა მოსარჩელეს.

ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარეკლამო აბრა გან-თავსებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონე-ბაზე და არ წარმოადგენს მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთ-რებას.

საქალაქო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემო-ებებისა და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანო-ნის მე-10¹, მე-5, მე-7 მუხლების ანალიზის შედეგად მიიჩნია, რომ შპს „რ...“ კუთვნილი სარეკლამო აბრის განთავსება არის შპს „რ...“ ინდივიდუალური საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №70 (იგივე ... (გამზ.) ქ. №5)) ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრე-თა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვა-ლისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას. ამდენად, სადაცვო საკითხი არ საჭიროებდა ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობასთან შეთანხმებას.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ მიიჩ-ნია, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყო-ფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას

იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლითა და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10¹, მე-5, მე-7 მუხლებით.

აპელანტი: შპს „...“

მოწინააღმდეგე მხარე: ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ თბილისის მერიის სისპ არქიტექტურის სამსახური

მესამე პირი – შპს „რ...“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლოს მიერ არასწორადაა განმარტებული ინდივიდუალური საკუთრებისა და საერთო ქონების შინაარსი. აპელანტის მტკიცებით, სარეკლამო აბრა განთავსდა არა შპს „რ...“ საკუთრებაში არსებული ქონების მხარეს, არამედ მეორე სართულზე, სადაც აპელანტის საკუთრების ობიექტია განთავსებული და, ამასთან, არ წარდგენილა სათანადო ამონანერი ამხანაგობის წინაშე. აპელანტი მიიჩნევს, რომ სარეკლამო აბრის განთავსების საკითხი უნდა განეხილა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, ვინაიდან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ამხანაგობის ქონებას და გავლენას ახდენს მესაკუთრეთა მხრიდან ქონების გამოყენებაზე, ამიტომ, საჭირო იყო ამხანაგობის წევრთა ნებართვა.

უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით №... მიწის ნაკვეთი ამავე საკადასტრო კოდით, 180 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობით. მოპასუხე სამსახურის 2011 წლის 22 ნოემბრის №12/155700 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ამ უძრავ ნივთზე თანამესაკუთრეებად რეგისტრირებული იყვნენ როგორც მოსარჩელე, აგრეთვე შპს „რ...“.

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ეს ქონება (ორივე ქონება წარმოადგენს №3-ს) ორ საკადასტრო ერთეულად იყო დაყოფილი და პირველ სართულზე შპს „რ...“ გააჩნდა საკუთრება 36 კვადრატული მეტრი, მიუხედავად ამისა, ის მაინც მართებულად თვლის აქტს და საერთოდ არ მსჯელობს, თუ რატომ არ მოხდა ამონანერის სწორად წარდგენა მე-

რიაში, მით უფრო, მაშინ როდესაც ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა. აპელანტის მტკიცებით, შპს „რ...“ მერია შეცდომაში შეიყვანა ადმინისტრაციული წარმოებისას, რადგან ზუსტად არ წარადგინა განსათავსებელი აპრის მდებარეობა და მდგომარეობა, რასაც შედეგად უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოჰყვა, ვინაიდან აპრა სწორედ აპელანტის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფასადზე განთავსდა. აპელანტმა მიიჩნია, რომ არქიტექტურის სამსახურისათვის ფაქტობრივი გარემოებების სწორად წარდგენის შემთხვევაში შედეგი სხვანაირი იქნებოდა. არქიტექტურის სამსახურისა და მერიისთვის არასწორი ფოტომონტაჟის წარდგენის შედეგად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, აპელანტის მოსაზრებით, შეილახა მისი როგორც მესაკუთრის, ასევე, როგორც მენარმის ინტერესები. შპს „რ...“ მიერ წარდგენილი ფოტომონტაჟი, სადაც აპრა უნდა განთავსებულიყო, მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...), სხვა მისამართს: №5, ხოლო წარდგენილი ამონანერი საჯარო რეესტრიდან №889211541205 მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...), სხვა მისამართს: ... №70.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას შპს „რ...“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა გარემოებას, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტით ჩასატარებელი სამუშაოები ხორციელდებოდა შპს „...“ საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე. დაინტერესებულმა მხარემ მიუთითა, რომ 2011 წლის 4 ნოემბრის ამონანერის მიხედვით (მინის ნაკვეთი ...) საკადასტრო კოდზე საკუთრების უფლება შპს „...“ არ გააჩნია და შესაბამისად არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. ამ განმარტებით, დაინტერესებულმა მხარემ ფაქტობრივად არ უარყო, რომ ამ ამონანერზე გაიცა ნებართვა, მაშინავე ნებართვა გაიცა სრულიად სხვა (...) ამონანერსა და შესაბამისად, სხვა მისამართზე, ფოტომონტაჟი კი სხვა მისამართზე დამტკიცდა. აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი განშლის ოქმი, რომლის მიხედვით, შპს „რ...“ საკუთრებაში არსებული 36 კვადრატული მეტრი მკვეთრად განსხვავდება მათ მიერ წარდგენილ ამონანერში დასახელებული 181.95 კვადრატული მეტრისაგან იმიტომ, რომ მათ წარადგინეს სხვა საკადასტრო კოდისა და სხვა მისამართის ამონანერი, ფოტომონტაჟი – კი სხვა. ახალი ამონანერით ... საკადასტრო კოდზეც გააჩნია შპს „...“ საკუთრება. მართალია, ორივე ერთ შენობას წარმოადგენს, მაგრამ მდებარე-

ობს სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა მისამართსა და სხვადასხვა კოდზე, რასაც ადასტურებს აპელანტის მიერ ჯერ კიდევ ადმინისტრაციული წარმოებისას მტკიცებულების სახით წარდგენილი განშლა. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს მსჯელობა არასწორია იმის თაობაზე, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ საკადასტრო კოდს წარადგენდა დანტერესებული მხარე ადმინისტრაციულ ორგანოში, ვინაიდან მას ორივე მხარეზე გააჩნდა საკუთრება და მიუხედავად იმისა, რომ სარეკლამო აბრის განთავსება გავლენას ახდენს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განვითარებაზე, იგი არც ახალი საკუთრების ობიექტს წარმოშობს და არც უკვე არსებული საკუთრების მოცულობის გაზრდას ისახავს მიზნად, რის გამოც არ საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნებართვას. აპელანტის განმარტებით, სარეკლამო აბრის განთავსებით ინდივიდუალური საკუთრების განვითარება კი არ მოხდა, არამედ ამ აბრის დაკიდებით შპს „რ...“ პირდაპირ შეიქრა შპს „...“ საკუთრებაში მყოფი ფართის ფასადზე. აპელანტის მტკიცებით, ადმინისტრაციული ორგანოებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პიზიციის შესაბამისად, შპს „...“ შეუძლია საკუთარი კომპანიის სარეკლამო აბრა პირველი სართულის ფასადზე განათავსოს, ანუ იქ, სადაც შპს „რ...“ ფანჯრებია. როდესაც საუბარია ინდივიდუალური საკუთრების განვითარებაზე, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლით დადგენილი ინდივიდუალური საკუთრების ლეგალური განმარტებით, რომლის მიხედვით ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრებათა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). ამ აბრის დაკიდებით ინდივიდუალური საკუთრების განვითარება არ მომხდარა.

აპელანტის აღნიშვნით, გასაჩივრებული აქტი უკანონოა, რადგან საკითხი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ უნდა განხილულიყო, ამასთან აქტი გამოცემულ იქნა იმ ფოტომონტაჟის საფუძველზე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საჯარო რეესტრის მიერ დამტკიცებულ ფოტომონტაჟთან. ფასადი, სადაც აბრა უნდა განთავსებულიყო, მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...), სხვა მისამართს (....№5), ხოლო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც წარადგინა შპს „რ...“ მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...) და სხვა მისამართს – ... ქ. №70.

სამართლებრივი: აპელანტი ძირითად სამართლებრივ საფუძვლად უთითებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4, მე-10 და მე-19 მუხლებს, რომელთა მიხედვით, აბრის განთავსება ამხანაგობის თანხმობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

შონინააღმდეგის შეპასუხება:

ქალაქ თბილისის მერიამ სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მიუთითა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და შემდგომ ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერია და არ არსებობს მათი გაუქმების საფუძველი, ვინაიდან სარეკლამო აბრა, რომელიც თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, განთავსებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონებაზე – ფასადზე და მისი განთავსებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური ქონების განოყენებაზე არ ახდენს გავლენას და წარმოადგენს ამხანაგობის საერთო ქონების ისეთ განვითარებას, რომელიც არ იწვევს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის გაზრდას ან ინდივიდუალური საკუთრების წარმოშობას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არ გაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელაციის მოტივები, პალატამ მიიჩნია, რომ მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სარეკლამო აბრა

განთავსდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონებაზე, არამზიდი ფასადის კონსტრუქციაზე-კედელზე. მესაკუთრეთის ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით უფლება აქვს ისარგებლოს ამხანაგობის საერთო ქონებით.

სასამართლომ განმარტა, რომ ამ ქმედებით მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების იმგვარი განვითარება, რომელიც არ იწვევს ინდივიდუალური ფართის გაზრდას ან/და არ წარმოშობს ინდივიდუალურ საკუთრებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელირება იმ გარემოებაზე, რომ სარეკლამო აბრის განთავსება შეუძლებელი იყო მომხდარიყო აპელანტის საკუთრებაში არსებულ ფასადზე, არასწორია.

სამართლებრივი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საართველოს კანონი.

კასატორი: შპს „...“

მოწინააღმდეგე მხარე: ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური

მესამე პირი – შპს „რ...“

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საერთო დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე‘“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10^ე მუხლზე და არასწორი დასკვნა გააკეთა, როდესაც მიიჩნია, რომ სარეკლამო აბრის განთავსება იყო ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას არ ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე.

კასატორის აზრით, ინდივიდუალურ საკუთრება უნდა განისაზღვროს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ შესახებ საქარ-

თველოს კანონის 4.1-ე მუხლით, რომლის თანახმად ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფაზე, სხვენები და ა.შ.). ამასთან, აბრის განთავსებით შპს „რ...“ ინდივიდუალური საკუთრების განვითარება არ მომხდარა, არამედ განხორციელდა იმ ფასადის მეორე სართულზე შეჭრა, რომლის შიგნით მდებარეობს შპს „...“ საკუთრება. ფასადი წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებას და შესაბამისად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონებას, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა კედლის ფასადის ფოტომონტაჟი, რომელიც მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...), სხვა მისამართს: №5, ხოლო წარდგენილი ამონანერი საჯარო რეესტრიდან მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს, (...) და შესაბამისად სხვა მისამართს: ... №70. ამ ქედებით შპს „რ...“ შეცდომაში შეიყანა არქიტექტურის სამსახური. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ გამოიკვლია, დაინტერესებულმა მხარემ რატომ წარადგინა ამონანერები შეცდომით, რაც დავის გადაწყვეტილისას არსებითი მნიშვნელობის გარემოებას წარმოადგენს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით კასატორმა წარმოადგინა მოსაზრება, რომლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, ვინაიდან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად. ორივე ინსტანციის სასამართლოების მიერ არასწორად იქნა მიჩნეული, რომ სადავო საკითხი არ საჭიროებდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობასთან შეთანხმებას და არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელ საკადასტრო ერთეულზე არსებულ ამონანერს წარუდგენდა შპს „რ...“ ადმინისტრაციულ ორგანოებს სარეკლამო აბრის განთავსებაზე დასტურის მისაღებად, რადგან ორივე საკადასტრო ერთეულში სანარმოს გააჩნია ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართი. არადა, კასატორის მითითებით, საკითხი სწორედ ამხანაგობის ნებართვას საჭიროებდა. ინდივიდუალური საკუთრების განვითარება კი არ მომხდარა, არამედ ამ აბრის განთავსებით შპს „რ...“ პირდაპირ შეიჭრა იმ ფასადზე, რომლის შიგ-

ნით, ფასადის მხარეს, მეორე სართულზე შპს „...“ საკუთრება იყო განთავსებული, შეიღახა შპს „...“, როგორც მესაკუთრის უფლებები, ამასთან, მეორე სართულზე ინდივიდუალური საკუთრება შპს „რ...“ არ გააჩნია. შპს „რ...“ წარდგენილი ამონანერის მიხედვით, მათ მეორე მხარეს მოიპოვეს რეკლამის განთავსების უფლება, რასაც კასატორის აღნიშვნით, ისინიც არ უშლიან, მაგრამ ... ქუჩის მხარეს, რა ფოტომონტაჟიც წარადგინეს, მათ რეკლამის განთავსების უფლება არ აქვთ. ფოტომონტაჟი, სადაც აბრა უნდა განთავსებულიყო, მოიცავს სხვა საკადასტრო კოდს (...), სხვა მისამართს: 5, ხოლო ამონანერი საჯარო რეგისტრიდან, რომელიც წარადგინა შპს „რ...“, წარმოადგენს სხვა საკადასტრო კოდს (...) სხვა მისამართს: ... №70. შესაბამისად, კასატორის მითითებით, ნებართვა გაიცა სხვა ამონანერზე, ფოტომონტაჟი კი დამტკიცდა სხვა მისამართის, სხვა საკადასტრო კოდის. აღნიშნულს, კასატორის მითითებით, ადასტურებს განშლის ოქმი, რომელიც ნათლად ჩანს, რომ შპს „რ...“ საკუთრებაში არსებული 36 კვ.მ მკვეთრად განსხვავდება მათ მიერ წარდგენილ ამონანერში მითითებული 181,95 კვ. მეტრისგან. ამასთან, ახალი ამონანერის მიხედვით, საკადასტრო კოდზე ... შპს „...“ გააჩნია საკუთრება.

მესამე პირმა – შპს „რ...“ წერილობითი მოსაზრებით მოითხოვა შპს „...“ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, იმ მოტივით, რომ საკასაციო საჩივარი არ აქმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამდღვრები: (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ კასატორის შპს „...“ საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარგულება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სასამართლომ განსახილველი დავა გადაწყვიტა არსებითად, მაშინ როცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ოფიციალურობის პრინციპის გამოყენებით სრულყოფილად არ არის მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ობიექტური სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განსახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აბსოლუტური კასაციის წანამდლორები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება მიეცეს რამდენად კანონშესაბამისად ხდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ნებართვის მისაღებად დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი განცხადების განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა, და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკიციის მიცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე სამართლებრივი თვალსაზრისით,

კერძოდ, მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სანებართვო სამართლის სფეროში მმართველობითი ფუნქციების კანონიერი განხორციელება; ამ პროცესში დაინტერესებულ პირთა უფლებების უზრუნველყოფა; ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სანებართვო სამართლის სფეროში გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას კვალიფიციური სამართლებრივი კონტროლის განხორციელება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით.

ვინაიდან სანებართვო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. მზარდი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში სულ უფრო ინტენსიური ხდება სანებართვო სამართლის ინსტიტუტების გამოყენება, რაც ასევე კავშირშია ქალაქების იერსახისა და კეთილმოწყობის სტანდარტების დაცვასთან. ამდენად, აღნიშნული სამართლის ინსტიტუტების სწორი გაერბა-გამოყენება უშუალოდ განაპირობებს ადამიანთა ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხსა და კულტურას. ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების ჩატარებისას საქმის გარემოებათა სწორი გამოკვლევა და კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერებისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები სახელმძღვანელო გახდება, როგორც ქვეყნის მასშტაბით მოქმედი მუნიციპალური ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მათი პრაქტიკისათვის, ასევე, მეწარმე სუბიექტებისათვის. სანებართვო სამართლის ნორმების განმარტება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ სასამართლოებს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საკასაციო სასამართლო სანებართვო სამართლის სფეროში არსებული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოში აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია, როგორც საკანონმდებლო, ასევე, კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, 2005 წლის 24 ივნისის საქარ-

თველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე ანესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათშიც ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

აღნიშნული კანონით საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევების, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება (მუხლი 2. ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის პრინციპები);

1998 წლის 18.02. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ ანესრიგებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს. ხოლო, საკანონმდებლო აქტის მიზანს რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა წარმოადგენს.

კანონის მოქმედი რედაქცია სანებართვო სფეროს ასევე განაკუთვნებს (მე-3 მუხლის პ.16.) აბრას, შემდეგი დეფინიციით – დაფა, რომელზედაც დატანილია ნებისმიერი ფორმისა და ზომის წარწერა, რომელიც განთავსებულია ეკონომიკური აგენტის ან მეწარმე სუბიექტის ობიექტზე, აღნიშნავს ამ ობიექტის სა-

ხელწოდებას და მისგან არა უმეტეს 1.5 მეტრით არის დაშორებული (28.05.2013 №617 ძალაშია 2013 წლის 1 სექტემბრიდან).

განსახილველი სამართალურთიერთობის მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, რომელსაც ეყრდნობა კიდეც სადაც აქტის გამოცემისას მოპასუხე – სიი „თბილისის არქიტექტურის სამსახური“. სანებართვო სამართალურთიერთობის სფეროს მომწერიგებელი ნორმები, ასევე, განსაზღვრულია ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობით დიფერენცირებულია საქმიანობის მთელი რიგი სფეროები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სათანადო ნებართვა ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. კერძოდ, ზემომითითებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება მის სამოქმედო ტერიტორიაზე განსაზღვროს შესაბამისი ზონები და I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების სახეობები, რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის ან/და ამავე დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე იქნება შესაძლებელი (მუხლი 65.2).

სადაც აქტით მოპასუხება – სიი „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“ დაადასტურა შპს „რ...“ უფლება სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით, მიჩნია რა, რომ შპს-ის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი საჭიროებს არა მშენებლობის ნებართვას, არამედ, დადასტურებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნა. აღნიშვნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მიღებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-52-52(კ-08) მ. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის განჩინებით ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვით სა-

კასაციონ სასამართლომ იმსჯელა საპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით მინიჭებული კომპეტენციის კვალიფი-ციური გამოყენების შესახებ, კერძოდ:

„საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: საპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ საპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ საპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ საპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან საპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით საპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს საპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალნარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, საპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული საპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შე-

იცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლი-ანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარნებლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალნარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალნარმოების არსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

წინამდებარე საქმეშიც, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ შეიცავს აპელაციის მოტივების შესახებ მსჯელობას, არ არის ნამსჯელი იმ არგუმენტებზე, რომელზეც აპელანტი მიუთითებს, შესაბამისად, ისინი სასამართლო დასკვნებით გაქარნებული არ ყოფილა და რაც საკასაციო საჩივრის შეტანის წინაპირობა გახდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ნარმოადგენს, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^{1.2} მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარ-

ლვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლა-მენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტილისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულია; შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯვერების საფუძველზე.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტილისას დაეყრდნო შპს „რ...“ მიერ პირველი კლასის სარეკლამო აბრის განთავსებისათვის ნებართვის მისაღებად წარდგენილ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკადასტრო კოდზე და მისამართზე არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ: 1. საჯარო რეესტრის 2011 წლის 4 ნოემბრის ამონაწერი №882011541205 საკადასტრო კოდი – ..., რომლის შესაბამისად, შპს „რ...“ საკუთრებაშია ქ. თბილისი, ... ქ. №70-ში (იგივე №5) სართული 1-ლი, შენობა №3-ში 872,50 კვ.მ ფართი და 2. სარეკლამო აბრის განთავსებისათვის კედლის ფასადის ფოტომონტაჟი, რომელიც მოიცავს საკადასტრო კოდს (...) მისამართზე: ქ. თბილისი, №5.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების,

ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დაფების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდობილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს დაცული არ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.2 მუხლი, რომლის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქ. თბილისი, ... №70-ში (იგივე №5) და ქ. თბილისი, ... №5-ში მდებარეობს ორ საკადასტრო ერთეულად დაყოფილი უძრავი ქონება, კერძოდ: а) უძრავი ქონება საკადასტრო კოდით (...) მისამართი – ქ. თბილისი, ... ქ. №70 (იგივე №5), სადაც შპს „რ...“ საკუთრებად რეგისტრირებულია სართული 1-ლი, შენობა №3-ში 872,50 კვ.მ ფართი; ბ) უძრავი ქონება საკადასტრო კოდით (...) მისამართი – ქ. თბილისი, №5, სადაც შპს „რ...“ საკუთრებად რეგისტრირებულია 36 კვ.მ, ხოლო შპს „...“ საკუთრებად რეგისტრირებულია 339 კვ.მ ფართი.

შპს „რ...“ მიერ სარეკლამო აბრის განსათავსებლად ნებართვის მისაღებად ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი მტკიცებულებები საკადასტრო კოდებით ერთმანეთს არ ემთხვეოდა და შესაბამისად, არც ქ. თბილისის მერიის მიერ არ იქნა გამოკვლეული თუ რატომ იქნა წარდგენილი სხვადასხვა საკადასტრო კოდზე და სხვადასხვა მისამართზე არსებული მტკიცებულებები (საჯარო რეესტრის ამონაწერი საკადასტრო კოდზე ... და ფასადის ფოტომონტაჟი საკადასტრო კოდზე ..., ასევე არ იქნა გამოკვლეული კონკრეტულად რომელ საკადასტრო ერთეულზე უნდოდა ნებართვის მაძიებელს განეთავსებინა სარეკლამო აბრა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებას, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ნებართვის მაძიებელი რომელ საკადასტრო კოდზე არსებულ ამონაწერს წარადგენდა, რაკი შპს „რ...“ შენობის ორივე მხარეს გააჩნია საკუთრება, შემდეგ გარემოებათა გამო: ადმინისტრაცი-

ული აქტის გამოცემისათვის სპეციალურად განსაზღვრული აუ-ცილებელი პროცედურის – ადმინისტრაციული წარმოების ჩა-ტარების მიზანს სწორედ საქმის გარემოებათა ობიექტური და კვალიფიციური გამოკვლევა-შეფასება წარმოადგენს. სწორედ ეს ფუნქცია განაპირობებს კანონიერი და დასაბუთებული გა-დაწყვეტილების მიღებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-სის 96.1 მუხლით კანონმდებელი იმპერატიული შინაარსით ად-გენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ ადმი-ნისტრაციული წარმოების ჩატარებისას გამოიკვლიოს საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვე-ტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშე-ჯერების საფუძველზე. თავის მხრივ, მტკიცებულებათა კვა-ლიფიციური გამოკვლევა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს გამოსაცემი აქტის სამართლებ-რივი შედეგებით დაინტერესებულ პირთა წრე და ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის 95.1 ან 95.2 მუხლის შესაბამისად მოიწვიოს ისინი ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციულ ორგანოთა ამგვარი დამოკიდებულება – ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების გაუთვალისწი-ნებლობა წინააღმდეგობაშია ქვეყნის კანონმდებლობით გარან-ტირებულ პირის პროცესუალურ უფლებებთან და არ შეესაბა-მება კანონიერი მმართველობის სტანდარტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მტკიცებულებების ამ-გვარმა არაჯეროვანმა გამოკვლევამ განაპირობა შპს „...“ მესა-მე პირად მოუწვევლობა ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომლის მონაწილეობა, შესაბამისი პროცესუალუ-რი უფლებების რეალიზების მეშვეობით დიდწილად განსაზ-ღვრავდა აქტის სამართლებრივ ხასიათს, შედეგს და დასაბუ-თებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომ ორგა-ნოში ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინის-ტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმო-ების განსაკუთრებულ სახეს და მას კოდექსში სპეციალური – XIII თავი აქვს დათმობილი, რომლის დებულებები დეტალურად ანესრიგებს დარღვეული უფლების აღდგენის ფორმებს, ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ზემდგომ ორგანოში გა-საჩივრების უფლების რეალიზაციასა და საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის საკითხებსა და პროცედურას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის სპეციალური თავით განსაზღვრული წესი და პროცედურა წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების იერარქიული კონტროლს განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას, რა დროსაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით შეამონებოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა (უმოქმედობათა) კანონიერება და მიზანშეწონილობა, რაც დამატებითი საშუალებაა მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაციული საჩივარი – არის სადავო აქტის ადრესატის მიერ პროცედურული უფლების რეალიზაცია, რომელიც კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს ექვემდებარება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის „ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება“ მიხედვით, მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება – განახორციელონ ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერებაზე კონტროლი, გულისხმობს მათ მიუკერძოებლად, ობიექტურად და კანონიერებისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით განხილვა-გადაწყვეტის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ქვემდგომ ორგანოს დამაჯერებლად არ გამოუკვლევია აქტის გამოცემისათვის საჭირო კველა ფაქტობრივი გარემოება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და მათი შეფასება-დადგენის საფუძველზე კანონიერად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით სადავო 2012 წლის 19.07 №2065 განკარგულების გამოცემისას უგულებელყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის მოთხოვნები, კერძოდ, გასაჩივრებული აქტის კანონიერების შესწავლა საქმის გარემოებების ობიექტური და კვალიფიციური გამოკვლევა-შეფასება-დადგენის საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია:

შპს „რ...“ საფარო რეესტრის 2011 წლის 4 ნოემბრის ამონა-წერის მიხედვით საკადასტრო კოდზე (...) მისამართი – ... ქ. №70 (იგივე №5) თავის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე მიიღო სარეკლამო აბრის განთავსების ნებართვის დადასტურება. ნებართვის მაძიებელმა სარეკლამო აბრა განათავსა შენობის წინა ფასადის მეორე სართულზე მისამართზე – №5, საკადასტრო კოდზე (...) წარდგენილი ფოტომონტაჟის მიხედ-

ვით, რომელ საკადასტრო ერთეულზე შპს „...“ საკუთრება გააჩნდა პირველ სართულზე – 27,93 კვ.მ, მეორე სართულზე – 91,33 კვ.მ და მესამე სართულზე – 183,92 კვ.მ. ხოლო შპს „რ...“ ამ საკადასტრო კოდზე (...) საკუთრება გააჩნდა პირველ სართულზე – 36 კვ.მ, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ... №5-ში მდებარე ... №3 შენობის ფართების განშლა.

ამდენად, შპს „რ...“ სარეკლამო აბრის განთავსება მოხდა შენობის წინა ფასადის მეორე სართულზე, სადაც საკუთრება გააჩნია შპს „...“. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მტკიცებულებათა მოპოვების და ობიექტური გამოკვლევის სტადიაზე შეეძლო გამოყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის გარემოების სახე – შემთხვევას ადგილის დათვალიერება, რითაც მიეცემოდა შესაძლებლობა ობიექტურად შეეფასებინა ყველა მტკიცებულება და გამოეტანა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობები, დანადგარები, საინჟინრო ქსელები, მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას) წარმოადგენს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის მზიდი და შემომზღვდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები (საძირკვლები, კარკასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუა გადახურვები, პარაპეტები (მოაჯირები), ლავგარდანები (კარნიზები), საწვიმარი მილები და ა.შ.

ამავე კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარება, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, თუმცა არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საგინის წარმოშობას.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცე-

მულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიამ, როგორც ზემდგომი ად-
მინისტრაციული ორგანო განიხილავდა რა ადმინისტრაციულ სა-
ჩივარს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტი-
ლებაზე, ისე გამოსცა 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარგუ-
ლება, რომ არ გამოუკვლევია მთელი რიგი საქმის გარემოებები
და მტკიცებულებები, არ დაუსაბუთებია ამ კონკრეტულ შემ-
თხვევაში შპს „რ...“ რეკლამის განთავსებაზე უფლების დადას-
ტურების მისაღებად ესაჭიროებოდა თუ არა „ბინათმესაკუთ-
რეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღ-
ნიშნული ნორმების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით,
რომ რეკლამის განთავსება მოხდა შპს „...“ საკუთრებაში არსე-
ბული ფართის ფასაზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევ-
რთა თანხმობა და რეკლამის განთავსებით ილახებოდა თუ არა
შპს „...“ ინტერესები, რომელსაც მხოლოდ სასამართლო წესით
დაუტოვა უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. ასევე, ზემ-
დგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და არ შეუფა-
სებია ის გარემოება, რომ ნებართვის მაძიებლის მიერ რატომ
იყო წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში მტკიცებულე-
ბები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკადასტრო
კოდსა და განსხვავებულ მისამართს შეიცავდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონ-
მდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სა-
ხით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში
მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი
წანამდლოვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემ-
თხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დის-
კრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია,
აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც
საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერ-
ძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4
ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა
დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით
დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება,
რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-
ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო
უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს
იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენ-

ტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ად-
მინისტრაციული წარმოების დროს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია
იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სა-
მართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდე-
ნადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრე-
ტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა სწორ შეფასებასაც
ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწ-
ყვეტამდე, ანუ მარტივად რომ განვმარტოთ, სწორედ კონკრე-
ტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწ-
ყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. ნინააღმდეგ
შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბი-
ლურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორ-
მის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი,
სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებ-
ში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმარ-
თველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული
თვითნებობა, მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი,
შესაბამისად სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამარ-
თლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-
ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტი-
ლების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შე-
აფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესა-
ბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევა-
ში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შე-
ეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მი-
ღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწ-
ყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, და-
საბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩე-
ლის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და
მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ იმ საკადასტრო
კოდზე (...), რომელზეც რეკლამის განთავსების ნება დაერთო
შპს „რ...“, საკუთრება შპს „...“ არ გააჩნია, ვინაიდან სასამარ-
თლოების მსჯელობის საგანი არ ყოფილა საქმეში წარმოდგენი-
ლი საჯარო რეესტრის 2012 წლის 20 ივლისის ამონაწერი
№882012356571 საკადასტრო კოდზე (...), სადაც შპს „...“ საკუთ-
რებად მითითებულია 117,07 კვ.მ ფართი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, იმ ვითარებაში, როცა აღნიშნული მტკი-ცებულება არ წარმოადგენს უდავოდ დადგენილ ფაქტს და პი-რიქით, სადავოა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება შპს „...“ საჩივართან და-კავშირებით და უნდა გამოიკვლიოს შპს „რ...“ კონკრეტულად რომელ საკადასტრო კოდზე არსებული ფართის ფასადზე მიე-ცა სარეკლამო აბრის განთავსებაზე ნებართვა და შეილახა თუ არა შპს „...“ ინტერესები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარე-მოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს და დააგალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – მოცემულ შემთხვევაში სადავოა საკუთრების უფლების შეზღუდვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დააგალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტუან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგშემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარგულება და ამასთან, მოპასუხეს უნდა დაევალოს შპს „...“ საჩივრის ხელახლა განხილვა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირები, რომლითაც შპს „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.2. მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მერიას შპს „...“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შპს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით სამართლწარმოებაზე გაღებული ხარჯების ($100+150+300$) 550 ლარის ოდენობით გადახდა;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:

1. შპს „..“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 19 ივლისის №2065 განკარგულება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონით დადგენილ ვადაში;
5. ქ. თბილისის მერიას დაეკისროს შპს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით სამართალწარმოებაზე გაღებული ხარჯების ($100+150+300$) 550 ლარის ოდენობით შპს „...“ სასარგებლოდ გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მშენებლობის ლეგალიზაცია

განჩინება

№ბს-9-9 (2კ-14)

30 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობა, შენობის ლეგალიზაციის შესახებ აქტის გამო-
ცემა.

აღნიშვნილობითი ნაწილი:

გ. ჯ-მა 13.03.2013წ. სარჩელით მიმართა გურჯაანის რაიო-
ნულ სასამართლოს მოპასუხის გურჯაანის მუნიციპალიტეტის
გამგეობის მიმართ. მოსარჩელები მოითხოვა გურჯაანის მუნი-
ციპალიტეტის გამგეობის 11.02.13წ. № 302 გადაწყვეტილების
ბათილად ცნობა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობი-
სათვის შენობის ლეგალიზაციის შესახებ გ. ჯ-ის განცხადების
დაკამაყოფილების დავალება. მოსარჩელები აღნიშნა, რომ 1995
წლიდან საკუთრებაში აქვს ქ. გურჯაანში, ... ქ. №3-ში მდებარე
კომერციული ფართი, რომლის გაფართოებაც მოახდინა 2001
წელს. 23.07.12წ. შენობის გაფართოებული ნაწილის ლეგალიზა-
ციის მოთხოვნით მიმართა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამ-
გეობას. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 11.02.13წ.
№302 გადაწყვეტილებით გ. ჯ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკ-
მაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ საქართველოს პრეზიდენ-
ტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის
3.2 მუხლის თანახმად გ. ჯ-ის მიერ არ იყო წარდგენილი თან-
ხმობა შენობის ლეგალიზებაზე ან ხელშეკრულება დადებული
მესაკუთრესა და განმცხადებელს შორის. გ. ჯ-ის მიერ გამგეო-
ბისათვის წარდგენილი თანხმობა მიჩნეული იქნა არასაკმარი-
სად, რადგან იგი გაცემულია არა ქონების მესაკუთრის, არამედ
შპს „...“ დირექტორის მიერ. მოსარჩელის მოსაზრებით გადაწ-
ყვეტილება უკანონოა, რადგან კერძო სამართლებრივ ურთი-
ერთობებში შპს-ს წარმოადგენს დირექტორი. სადაც აქტი პირ-

დაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, მისი მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, რითაც დაარღვია სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნა. გამგეობა ვერ გაერკვა, რომ შპს-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის – დირექტორის მიერ გამოვლენილი ნება არის არა მესაკუთრის, არამედ შპს-ს მიერ გამოვლენილი ნება.

მოპასუხებ – გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შე-საგებელში აღნიშნა, რომ მიშენების ლეგალიზაციისათვის სა-ჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა, მოსარჩელე-სა და შპს-ს შორის მინის ნაკვეთის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობდა სასამართლოში, საბოლო-ოდ მიღებული იქნა შპს „...“ სასარგებლო გადაწყვეტილება. 2001 წელს შპს „...“ არ იყო თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილი პი-რი, დ. ც-ი არ იყო შპს „...“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსი-ლი პირი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 05.06.2013წ. საოქმო განჩინებით სზაკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაეხა შპს „...“.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 10.07.13წ. გადაწყვე-ტილებით გ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. რაიონულმა სა-სამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ დირექტორის 05.12.2001წ. მი-მართვა არ შეიცავს მითითებას, თუ რა მიზნითაა იგი გაცემული და კონკრეტულად რას ეთანხმება მისი გამცემი. რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შე-სახებ, რომ შპს „...“ დირექტორის 05.12.2001წ. დასახელებული მიმართვა გულისხმობს გაფართოებას სწორედ იმ სახით და იმ ფარგლებში, რაც მან მოახდინა. კანონის თანახმად, იმ ფაქტობ-რივი გარემოების დასადასტურებლად, რომ შპს „...“ ნებით გა-დასცა მოსარჩელეს თავისი მინა და მისცა ნაკვეთზე შენობის აშენების უფლება, საჭიროა არა არქიტექტორის სახელზე გა-ცემული ცნობა, არამედ კანონით დადგენილი წესით დადებუ-ლი და რეგისტრირებული ხელშეკრულება, ასეთი ხელშეკრუ-ლება არ დადებულა. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ დირექტორის 05.12.2001წ. მიმართვა გამოყენებული ვერ იქნებოდა ისეთი ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, როგო-რიცაა საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანე-ბულება „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებარ-თვის გამცემი მოვალეობის მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგა-

ლიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 10.07.13ნ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2013ნ. გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გურჯაანის რაიონული სასამართლოს 10.07.13 წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 11.02.13ნ. №302 გადაწყვეტილება და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობას გ. ჯ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის ანაზღაურება.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თუ კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შპს-ში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვთ დირექტორებს, შესაბამისად დირექტორებს აქვთ სრული უფლება საწარმოს სახელით მესამე პირებთან დადონ ხელშეკრულება ან გასცენ შესაბამისი თანხმობა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შეთანხმება სასურსათო მაღაზიის გაფართოებაზე დადგებულია სწორედ განმცხადებელსა და მინის მესაკუთრე შპს-ს შორის, რადროსაც თანხმობის მიცემისას შპს-ს დირექტორი მოქმედებდა არა როგორც კერძო, ფიზიკური პირი, არამედ როგორც შპს „...“ კანონიერი წარმომადგენელი. სკ-ის 52-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მაღაზიის გაფართოებაზე უფლების მიცემა გულისხმობდა მისი გაპარიტების გაფართოებას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ თანხმობა გაცემული იყო მხოლოდ გ. ჯ-ის კუთვნილი ნაკვეთის ფარგლებში გაფართოებაზე, ასეთ შემთხვევაში მას არ დასჭირდებოდა შპს „...“ თანხმობა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანხმობა ლეგალიზებაზე გაცემული უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07ნ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის გამოცემის შემდეგ.

თანხმობა უძრავი ქონების გაზრდაზე გულისხმობს აგრეთვე თანხმობას იმაზეც, რომ მომავალში მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მოახდინოს ფართის დაკანონება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2011წ. გადაწყვეტილება საკასაციო ნე-სით გაასაჩივრეს შპს „...“ და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამ-გეობამ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკასაციო საჩი-ვარში აღნიშნავს, რომ გ. ჯ-ის განცხადებაზე აქტი გამოიცა სა-კითხის სათანადო გამოკვლევის შედეგად. გ. ჯ-ის მიერ წარ-მოდგენილი დოკუმენტია არ პასუხობს საქართველოს პრე-ზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული ნე-სის 3.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედ-ვით თანხმობა დადებული უნდა იყოს მესაკუთრესა და განმცხა-დებელს შორის და არა დირექტორსა და განმცხადებელს შო-რის. შპს „...“ ნესდების 3.2.6 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა შედიოდა პარტნიორთა კრების კომპეტენციაში, დირექტორს არ ჰქონდა უძრავი ქონების დატვირთვის უფლებამოსილება. გარდა ამისა, დირექტორის თანხმობის ტექსტი არის ბუნდოვანი, თანხმობის მიმცემი პირი დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მიცემული ჩვენების თანახმად ვინაიდნ მაღაზიას ყველა მხრი-დან ბაზრის ტერიტორია ესაზღვრება, მაღაზიას არ გააჩნია მას-თან მისასვლელი გზა, თანხმობა გაიცა სამუშაოების ჩატარება-ზე მაღაზიის გ. ჯ-ის კუთვნილ ფართის საზღვრებში გაფართო-ებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორს არ ჰქონდა უძ-რავი ქონების დატვირთვაზე თანხმობის მიცემის უფლება, ამას-თანავე, გაცემული თანხმობა არ გულისხმობდა მაღაზიის გა-ფართოებას ბაზრის ტერიტორიის ხარჯზე, ხოლო გარემოებე-ბი სრულად არის გამოკვლეული, არ დარღვეულა აქტის მომზა-დების და გამოცემის წესი. კასატორი თვლის, რომ აზრს არის მოკლებული გამგეობისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალე-ბა, რადგანაც არ არსებობს საქმეზე სხვა გადაწყვეტილების მი-ლების შესაძლებლობა. კასატორი ითხოვს სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწ-ყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

შპს „...“ საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საზოგადოე-ბის ნესდების მიხედვით მხოლოდ საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლებოდა უძრავი ქონების შე-

ძენა, გასხვისება და დატვირთვა. კასატორი ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებულ მითითებას, რომ მიწის ნაკვეთზე შენობის ასაშენებლად თანხმობის მიცემა ხდება არა ცნობით, არამედ კანონით დადგენილი წესით დადგებული და რეგისტრირებული ხელშეკრულების საფუძველზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სკ-ის 183.1 მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 05.12.016. ცნობა არაა სათანადო წესით დამოწმებული, არ არსებობდა მოცემულ საკითხზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, თავის მხრივ, საჯარო რეესტრი არ მიიღებდა ნოტარიულად დაუმოწმებელ დოკუმენტს, შესაბამისად სააპელაციი პალატის მიერ 05.12.016. ცნობის ხელშეკრულებად ან თანხმობად მიჩნევა ენინაალმდეგება იმ დროს მოქმედ კანონმდებლობას. ცნობის გაცემაზე მხოლოდ 3 თვით ადრე იყო შეძენილი მიწა და დამტკიცდა შპს-ს წესდება, ამდენად იმდროინდელი დირექტორისათვის, რომელიც საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, ცნობილი იყო ქონების განკარგვის ფორმის და პროცედურის შესახებ. არაგონივრულია ვარაუდი იმისა, რომ მესაკუთრემ უსასყიდლოდ, ყოველგვარი სარგებლის მიღების გარეშე გადასცა მესამე პირს სოლიდური ღირებულების მქონე ქონება. კასატორი აღნიშნავს, ასევე, რომ მან არაერთხელ მიმართა არქიტექტურის სამსახურს და მშენებლობის ზედამხედველობის ინსპექციას მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე უკანონო ნაგებობის დემონტაჟის მოთხოვნით, თუმცა ბიუროკრატიული პროცედურების შედეგად დემონტაჟის განხორციელება გაჭირანულდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოწინააღმდეგე მხარე გ. ჯ-ი საკასაციო შესაგებლით საკასაციო საჩივრების საფუძვლები არ ცნო და აღნიშნა, რომ 05.12.016. ცნობა არის შეთანხმება სასურსათო მაღაზიის გაფართოებაზე დადებული გ. ჯ-სა და შპს შპს „...“ დირექტორს შორის. თანხმობა და ამ თანხმობის საფუძველზე სასურსათო მაღაზიის გაფართოების საკითხი შპს-ს დღემდე სადავოდ არ გაუხდია. 05.12.016. გაცემული ცნობის თანხმობის ნამდვილობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 24.11.076. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესით არ არის გათვალისწინებული ე.წ. რთული სანოტარო ფორმა, თანხმობის ნამდვილობისათვის არ არის გათვალისწინებული მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. არ

წარმოდგენილა მაღაზიის გაფართოებაზე 05.12.016. გაცემული თანხმობის ბათილად ცნობის ან გაფართოების შესახებ დავის სასამართლო ან სხვა წესით დავის ფაქტი. შესაგებლის ავტორი იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სადაც აქტის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოცემის შესახებ. ცნობის შინაარსის შესწავლის შედეგად სააპელაციო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ იგი როგორც ფორმალურად, ისე შინაარსობრივად, ნამდვილად წარმოადგენდა სასურსათო მაღაზიის გაფართოებაზე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებულ შეთანხმებას. საკუთარ მიწაზე შენობის გაფართოება არ საჭიროებდა შპს „...“ თანხმობას, დაუშვებელია თანხმობის მიმართ უძრავი ქონების განკარგვა-შეძენისათვის იმ დროისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დანაწესის გავრცელება, ვინაიდან 05.12.016. ცნობა არის თანხმობა მაღაზიის გაფართოებაზე და არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, 24.11.076. №660 ბრძანებულებით დადგენილია თანხმობის და არა ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის პირობა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორებმა შპს „...“ და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრებს და მოითხოვეს მათი დაკმაყოფილება. მონინააღმდეგე მხარე – გ. ჯ-მა და მისმა წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება. მორიგების მიზნით მხარეთა შორის წარმოებული მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სადაც ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების დასაბუთებას. სასკ-ის 32.4 მუხლის მიხედვით სასამართლო დავის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს იმ შემთხვევაში, უკეთუ აშკარაა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევის გარეშე მიღლო გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა არ უთითებს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დადგენა საჭიროა სადავო სამართლურთოთობის გადასაზყვეტად, გადაწყვეტილებაში არ არის აგრეთვე მითითებული, სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად, სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გამგეობის მიერ გ. ჯ-ის საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი, შესწავლილ იქნა შპს „...“ სადამუშავებლო დოკუმენტაცია. საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს მოსაზრებებს საქმის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით, რაც თავის-თავად არ ქმნის დავის გადაუწყვეტლად სადავოდ გამხდარი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გამოკვლევისათვის დავალების საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32.4 მუხლი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი საკითხის გასარკვევად დავალების გაცემის პირობას. ამასთანავე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საპელაციო პალატის მითითებები იმის შესახებ, რომ 05.12.016. თანხმობა შინაარსობრივად არის გაფართოებაზე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული შეთანხმება, თანხმობა გაფართოებაზე გულისხმობდა მომავალში მის დაკანონებას, დირექტორი უფლებამოსილი იყო განეკარგა საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება და სხვ., ნიშნავს გამგეობისათვის არა საკითხის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ლეგალიზაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, რაც სცილდება საპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული

სასკ-ის 32.4 მუხლით დადგენილ დანაწესს და ფაქტიურად არის სასამართლოს მიერ სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ლეგალიზაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქმეში დაცული მასალების მიხედვით, გ. ჯ-ის სახელზე ირიცხება 60 კვ.მ. მინის ნაკვეთი და შენობა 54 კვ.მ. ფართით (საფუძველი – გურჯაანის რაიონის გამგეობის 14.03.016. №26 დადგენილება). საქმეზე დადგენილია, რომ გაფართოების შედეგად განაშენიანების ფართი გახდა 93.6 კვ.მ., ამდენად შენობის ის ნაწილი, რომელიც სცილდება გ. ჯ-ის სახელზე საკუთრებაში რიცხული 60 კვ.მ.-ს განთავსებულია ნაკვეთზე, რომელიც ირიცხება შპს „...“ საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღაზის გაფართოება მოხდა როგორც მოსარჩელის, ისე შპს „...“ სახელზე საკუთრებაში რიცხული მინის ნაკვეთის ხარჯზე. ამდენად, 05.12.016. მიმართვა ეხებოდა არა გ. ჯ-ის, არამედ შპს-ს საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ხარჯზე გაფართოებას. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.076. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი თრგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაკვეთის სხვის საკუთრებაში ყოფნის შემთხვევაში ლეგალიზაციის შესახებ განცხადებას, სხვა დოკუმენტებთან ერთად, თან უნდა დაერთოს აგრეთვე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ან თანხმობა. მოსარჩელემ თანხმობის სახით გამგეობას წარუდგინა შპს „...“ იმუშამინდელი დირექტორის დ. ც-ის 05.12.016. მიმართვა გურჯაანის მთავარი არქიტექტორისადმი იმის შესახებ, რომ შპს-ს დირექტია თანახმა გ. ჯ-მა მოახდინოს მისი კუთვნილი სასურასათო მაღაზის გაფართოება. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.076. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი, რომელიც განსაზღვრავს 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზაციის გზას, ლეგალიზაციის პირობად განსაზღვრავს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადებას, არამედ აგრეთვე მესაკუთრის მიერ თანხმობის გაცემას, წესი არ ადგენს მესაკუთრის მიერ ნებართვის გაცემის პერიოდს. მართალია თანხმობის გაცემის დროს არ იყო ცნობილი შემდგომში მიღებული აქტის შინაარსი,

მაგრამ ცხადია, რომ თანხმობის დოკუმენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებით დამტკიცებული წესის მიზნებში გამოყენება შესაძლებელია უკეთუ ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობის ამსახველი დოკუმენტის ტექსტიდან იკვეთება იმ ფართის ოდენობა, რომელზედაც ხდება გაფართოება. სააპელაციო სასამართლო მართებულად უთითებს, რომ გ. ჯ-ის მიერ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის ფარგლებში მაღაზიის გაფართოების შემთხვევაში, მას არ დასჭირდებოდა შპს-ს თანხმობა. შპს-ს დირექციოდან თანხმობის მიღება სწორედ იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ გაფართოება შპს-ს კუთვნილ ფართსაც მოიცავდა. ამასთანავე, 05.12.01წ. მიმართვა არ შეიცავს მითითებას იმ ფართზე, რომელზედაც გაიცა გაფართოების თანხმობა. სსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თვითონულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია რაიმე ფაქტობრივი გარემოებები ამ მიმართებით, არ მიუცია შეფასება მოსარჩელის მიერ მოყვანილი არგუმენტებისათვის.

მშენებლობის ლეგალიზაციის მოთხოვნის საფუძვლიანობის ერთ-ერთ არგუმენტად სააპელაციო პალატა იმ გარემოებას უთითებს, რომ შპს-ს მოსარჩელის მიერ განხორციელებული მიშენება სადაც არ გაუხდია. ამასთანავე, სააპელაციო პალატას შეფასების მიღმა დარჩა მხარეთა შორის მანამდე ნაწარმოები სასამართლო დავები, ამ დავებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლის შესახებაც მესამე პირი აღნიშნავდა სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში (თელავის რაიონული სასამართლოს 03.11.11წ. გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.01.12წ. განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.05.12წ. განჩინება). სააპელაციო სასამართლომ არ იქონია მსჯელობა განსახილველი საქმის მიმართ სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში მყოფი რაიონული სასამართლოს 03.11.11წ. გადაწყვეტილების (საქმე №3/146-11) პრეიუდიციული მნიშვნელობის შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ დავაში ჩართული ყველა მხარე (გ. ჯ-ი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შპს „...“) მონაწილეობდა წინა სასამართლო დავებში, შესაბამისად ამ დავებზე გამოტანილ სასამართლო აქტებს, სსკ-ის 106-ე, 266-ე მუხლების თანახმად განსახილველი დავის მიმართ შესაძლოა პრეიუდი-

ციული მნიშვნელობა პქონდეს. საგულისხმოა, რომ 05.12.016. მიმართვის შემდეგ 22.06.04ნ. შპს „...“ სახელზე გაიცა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა №1351/04, რომლის ბათილად ცნობაზე წინა სასამართლო დავებში მოსარჩელეს უარი ეთქვა. კანონიერ ძალაში მყოფ თელავის რაიონული სასამართლოს 03.11.11ნ. გადაწყვეტილებაში, სხვა საკონსებრაციანი ერთად, განხილულია აგრეთვე შპს „...“ დირექტორის 05.12.016. მიმართვა გურჯაანის რაიონის მთავარი არქიტექტურისადმი, აგრეთვე მანამდე გაცემული №103 ცნობა და 31.12.2000ნ. ბრძანება, რომლითაც მაღაზიას მიმდებარე ტერიტორიაზე ნება ეძლეოდა დამატებით 10 კვ.მ. ფართის გამოყოფაზე. სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 03.11.11ნ. გადაწყვეტილებით მითითებულია, რომ 05.12.016. მიმართვა არ წარმოადგენდა განცხადებით მოთხოვნილი გ. ჯ-ის სახელზე ცვლილებების რეგისტრაციის შეჩერების აღმომფხვრელ დოკუმენტაციას, კანონიერად იქნა მიჩნეული საჯარო რეესტრის ის აქტები, რომლითაც შეწყდა სადაც ფართის გ. ჯ-ის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ მის განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება. აგრარული ბაზრის წესდების საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ კერძო მაღაზიის კეთილმოწყობისათვის მიმდებარე ტერიტორიის გამოყოფისათვის დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, დირექტორის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცეკავშირის „საქონაბდამზადებამომსახურების“ ნებართვით, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ასეთი მოთხოვნა არ გაცემულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფართი, რომლის დამატებით რეგისტრაციასაც მოითხოვდა გ. ჯ-ი, უკვე რეგისტრირებული იყო შპს „...“ სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელის თანხმობა ცვლილებების განხორციელებაზე მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. თელავის რაიონული სასამართლოს 03.11.11ნ. №3/146-11 გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.01.12ნ. განჩინებით, საკასაციო სასამართლოს 17.05.12ნ. განჩინებით გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები ქმნის პრეიიუდიციას სხვა დავებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ დავაში მონაწილე პირები წინა დავებშიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, არამედ მთელ გადაწყვეტილებაზე, აგრეთვე იმის

გათვალისწინებით, რომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებში, სხვა საკითხებთან ერთად, არის შპს „...“ დირექტორის 05.12.01წ. მიმართვაზე მსჯელობა, რომელიც განსახილველ დავაში მოთხოვნის საფუძველია, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა განსახილველი დავის მიმართ წინა სასამართლო დავებზე გამოტანილი სასამართლო აქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე.

მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუსაბამობაშია აგრეთვე სააპელაციო პალატის მიერ სასამართლო ხარჯების განაწილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის (150 ლარის) ანაზღაურება. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასკ-ის 10.2 მუხლის მიხედვით, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთვევაშიც, რაშიც იგულისხმება ყველა ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯი. სსკ-ის 53.3 მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლის ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მას თავად ევალება შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისალები არა მხოლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟი, არამედ ის ხარჯები, რომლებიც მხარეებმა გაიღეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სადაცო გადაწყვეტილებით გააუქმა რა სადაცო აქტი, არ მოახდინა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხების (100 ლარი პირველი ინსტანციის სასამართლოში და 150 ლარი სააპელაციო სასამართლოში) შეჯამება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, შესაბამისად სსკ-ის 412-ე მუხ-

ლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებობს გასა-ჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის სააპელა-ციონ სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუ-ნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შპს „...“ სა-კასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.13წ. გადაწყვეტი-ლება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების სა-კითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღე-ბისას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

2. პასუხისმგებლობა უკანონო მშენებლობის გამო

დაჯარიმება უცემართვო მშენებლობის გამო

განრიცხვა

№ბს-284-276(2)–13)

17 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ქ. ღ-ი

მოპასუხევბი: ქ. თბილისის მერია; ქ. თბილისის მერიის ზე-
დამხედველობის საქალაქო სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-
ხურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილების ბათი-
ლად ცნობა.

2. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 20 მარტის №648 განკარ-
გულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელის განმარტებით, 2005-2006 წლებ-
ში მის საცხოვრებელ სახლში ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში, უკა-
ნონდ განახორციელა შენობა-ნაგებობაზე კიბის და კიბის ბაქ-
ნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთე-
ბა კარის ღიობად, რის შემდეგაც მისი ოჯახი სარგებლობდა აღ-
ნიშნული კიბით საცხოვრებელ სახლში შესასვლელად. ძირითა-
დი საერთო სარგებლობის კორიდორი, რომლითაც მოსარჩელის
ოჯახი აღარ სარგებლობდა მიშენების შემდეგ, დაიკავა მისმა
თანამესაკუთრემ მ. მ-მა.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №001371 მითითებით განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან სათანა-დო სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად.

მოსარჩელის მტკიცებით, კიბისა და კიბის ბაქნის მონგრე-ვის შემთხვევაში მის საცხოვრებელ ბინას აღარ რჩებოდა შე-სასვლელი, რის გამოც მან მიმართა ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახურს, რომ მ. მ-ს მიეცა მისთვის სადარბაზოს შე-სასვლელი კორიდორით სარგებლობის უფლება.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და ის ფაქტი, რომ მეზობლებს შორის კორიდორით სარგებლობის საკითხი იხილებოდა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოში. ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის 2012 წლის 17 იანვრის №4-3/3-გ/-12 ბრძანებით სამარ-თალღარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 2012 წლის 16 მარტამდე.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად აღნიშნულისა, იგი 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აიგნის მიშენებისათვის და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკე-თებისათვის.

სამართლებრივი: მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლებზე არ მიუთითება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2012 წლის 5 ივნისის განჩინებით საქმეში ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველ-ზე მესამე პირად ჩაეგა ქ. თბილისის მერია.

მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახურის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია 2005-2006 წლებ-ში მშენებლობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუ-მენტაცია. ამასთან, მოპასუხის მითითებით, ზედამხედველო-ბის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 17 იანვრის №4-3/3-გ-12 ბრძანებით, სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგ-რძელდა ორი თვით, 2012 წლის 17 იანვრიდან 2012 წლის 16 მარ-ტამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ დადგენილება უნდა გამოცემუ-ლიყო მითითებულ ვადაში და არა ამ ვადის გასვლის შემდეგ.

მესამე პირმა – ქ. თბილისის მერიამ შესაგებლით სარჩელი

არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და 22-ე მუხლების შესაბამისად და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელის განმარტებით, 2005-2006 წლებში მის საცხოვრებელ სახლში ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში უკანონოდ განახორციელა შენობა-ნაგებობაზე კიბის და კიბის ბაქნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთება კარის ღიობად.

2011 წლის 13 ოქტომბრის №001371 მითითებით განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად, შესაბამისად, ზემოაღნიშნული მითითებით განსაზღვრული ვადა შეჩერდა ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 27 ოქტომბრის №4357 ბრძანებით ქ. ღ-ს დაუდგინა ხარვეზი და განესაზღვრა 10-დღიანი ვადა სათანადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად. ამასთან, განემარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება განუხილველი დარჩებოდა. მოსარჩელის განმარტებით, დადგენილ ვადაში ხარვეზი ვერ შეავსო.

2011 წლის 18 ნოემბრის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001371 შემოწმების აქტით დაფიქსირდა 13 ოქტომბრის მითითების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ი დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აივნის მიშენებისათვის და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის.

აღნიშნული დადგენილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ქ.თბილისის მერიაში, რომლის 2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულებით ქ. ღ-ის საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით

ქ. ღ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ქ. თბილისის ზედამხედველობის სამსახურის 2011 წლის 13 ოქტომბრის №001371 მითითებით ქ. ღ-ს განესაზღვრა 10-დღი-ანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან სათანადო სანებართვი დოკუმენტაციის წარსადგენად.

2011 წლის 21 ოქტომბერს, მოსარჩელემ მიმართა არქიტექტურის სამსახურს უნებართვოდ მიშენებული აივნის და კიბის უჯრედის ლეგალიზების მოთხოვნით, რა დროსაც 13 ოქტომბრის მითითებით განსაზღვრული ვადა შეჩერდა ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. არქიტექტურის სამსახურმა დაუდგინა ხარვეზი და სათანადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად განუსაზღვრა 10 დღის ვადა. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ხარვეზი ვერ შევასო.

2011 წლის 18 ნოემბრის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001371 შემოწმების აქტით დაფიქსირდა 13 ოქტომბრის მითითების შეუსრულებლობა.

2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ი დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ. თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აივნის მიშენებისათვის და ფანჯრის ლიობის კარის ლიობად გადაკეთებისათვის.

აღნიშნული დადგენილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. 2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულებით ქ. ღ-ის საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სადავოა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულების კანონიერება.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსამენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლომ ქ. ღ-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

საქალაქო სასამართლომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ მითითებით განსაზღვრული

ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონტებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით. კონკრეტულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების შესაბამისად, დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ღ-მა არ შეასრულა 2012 წლის 13 ოქტომბრის მითითებაში განსაზღვრული ვალდებულება, რაც შემდგომ აისახა შემონმების აქტში.

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნებართვი მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ზაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას: ა) სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით; ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

სასამართლო ასევე მიუთითებს, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-10 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, შემონმების აქტის შედებიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა. საქმის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 2 თვით. დამრღვევს უწყებით უნდა ეცნობოს საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დასახელებულ ვადაში განიხილოს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე და მიიღოს დადგენილება. ვადის გაგრძელება არ გულისხმობს, რომ დადგენილება ვადის ამონურვის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული.

სამართლებრივი კვალიფიკაცია:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 და მე-60¹ მუხლებით, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აპელანტი: ქ. ღ-ი

მოწინააღმდეგე მხარები: ქ. თბილისის მერია; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემწმება შეუძლებელია. აპელანტი არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასვენას, რომ მის მიერ განხორციელდა შენობა-ნაგებობაზე კიბის და კიბის ბაქნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთება კარის ღიობად.

სამართლებრივი: სამართლებრივ გარემოებებზე აპელანტს არ მიუთითებია.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტის ქ. ღ-ის წარმომადგენელმა წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულება, კერძოდ, ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ466-12 და №001716/№001752 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე. აპელანტის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 21 მარტის მითითების თანხმად, ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში განხორციელდა შენობა-ნაგებობების მშენებლობა. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 1999 წლის 12 ოქტომბრის №622 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, რაც გამოიხატა იმაში, რომ პირველ სართულზე არ იყო მოწყობილი კედელი და გამოყენებული იყო მომიჯნავე შენობის კედელი. მეორე სართულზე გაზრდილი იყო ოთხი ფანჯრის ღიობის გაბარიტი, ხოლო სამ მათგანში დამატებით მოწყობილი იყო თითო კარი. შეცვლილია ასევე გადახურვის კონფიგურაცია. ფანჯრის ღიობის დაბლა მოწყობილია ლითონის კარი. გაუქმებული იყო

ოთხი ფანჯრის ღიობი. შეცვლილი იყო ფასადის მოპირკეთება და არ იყო შესრულებული დეკორატიული ლესვა. ასევე კედელი განეულია „ბ-ბ“ ღერძიდან, დაახლოებით 0,15 მ-ით. „ბ-გ“ ფასადზე შეცვლილი იყო აივნისა და კარ-ფანჯრის კონფიგურაცია, მოწყობილი იყო ფრამუგა და სადარბაზო შეცვლილი იყო კიბის კონფიგურაცია, ხოლო განსახილველი დავა ეხება შენობა-ნაგებობაზე კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობას, აივნის მიშენებას და ფანჯრის ღიობის გადაკეთებას კარის ღიობად, ზუსტად ანალოგიური სამართალდარღვევის ფაქტზე არის მსჯელობა ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებაში.

აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დადგენილება არის სადაც აქტების ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან, არსებობს ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ორი პროექტი, მშენებლობა, რაც გახდა სადაც აქტების გამოცემის საფუძველი ქ. ღ-ს არ უნარმოებია იგი არსებობდა მანამდეც.

მოწინააღმდეგე მხარე – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური არ დაეთანხმა სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა მის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე პირის – ქ. თბილისის მერიის განმარტებით, ქ. ღ-მა თავად მიუთითა, რომ მან 2005-2006 წლებში ანარმოვა სამშენებლო სამუშაოები. რაც შეეხება ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებას, იგი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს ეხება, კერძოდ, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ 1999 წლის 12 ოქტომბრის №622 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტორული პროექტის დარღვევის ფაქტს და კონკრეტულად არის ჩამოთვლილი განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები.

ამასათან, კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია შენობა-ნაგებობაზე უკანონოდ ნაწარმოები კიბის და კიბის ბაქნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთება კარის ღიობად, ხოლო ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულება ეხება საპროექტო სამართალდარღვევას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ღ-ის სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; გა-

უქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ქ. ღ-ის სარჩელი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულება, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერ-ვლის №001371 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არ-სებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. ღ-ის მიმართ გადაწყვეტი-ლების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობ-რივი გარემოებები:

ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში მოქალაქე ქ. ღ-მა განახორციე-ლა შენობა-ნაგებობაზე კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობა, აივ-ნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთება კარის ღიობად შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. 2011 წლის 13 ოქტომბერს შედგენილი №001371 მითითებით, ქ. ღ-ს განე-საზღვრა 10-დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეო-ბაში მოსაყვანად ან სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად. 2011 წლის 21 ოქტომბერს, მოსარჩელემ მიმარ-თა არქიტექტურის სამსახურს უნებართვოდ მიშენებული აივ-ნისა და კიბის უჯრედის ლეგალიზების მოთხოვნით, რა დრო-საც 13 ოქტომბრის მითითებით განსაზღვრული ვადა შეჩერდა ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. არქიტექ-ტურის სამსახურმა მოსარჩელეს ხარვეზი დაუდგინა და სათა-ნადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად განუსაზღვრა 10 დღის ვადა. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ხარვეზი ვერ შეავსო.

2011 წლის 18 ნოემბერს ზედამხედველობის საქალაქო სამ-სახურის სპეციალისტმა შეადგინა აქტი, რომლითაც დაფიქსირ-და 13 ოქტომბრის მითითების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფ-როსის 2012 წლის 17 იანვრის ბრძანებით ქ. ღ-ის მიმართ დაწყე-ბული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვა-და გაგრძელდა 2 თვით 2012 წლის 16 მარტამდე.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ი დაჯარიმ-და 8 000 ლარით ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობა-

ზე უნდა ართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აიგნის მიშენებისათვის და ფანჯრის ლიობის კარის ლიობად გადაკეთებისათვის.

2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულებით ქ. ღ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 1 მაისის №001752 მითითებიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში მოქალაქე ქ. ღ-ის მიერ დარღვეულია მთავარი არქიტექტორის 12.10.1999 წლის №5622 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი, ეკრძოდ, პირველ სართულზე „2-1“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი და გამოყენებულია მომიჯნავე შენობის კედელი. მეორე სართულზე „2-1“ მონაკვეთში გაზრდილი ფანჯრის ლიობის გაბარიტი, „1-3“ მონაკვეთში გაზრდილია ოთხი ფანჯრის ლიობის გაბარიტი, ხოლო სამ მათგანში დამატებით მოწყობილია თითო კარი, „1-4“ ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია აიგანი (0,90X12,20), რითაც მომატებულია ფართი (დაახლოებით 10,9 კვ.მ-ით), შეცვლილია გადახურვა კონფიგურაცია, „1-4“ ფასადზე „1-2“ მონაკვეთში ფანჯრის ლიობის დაბლა მოწყობილია ლითონის კარი, ფასადზე დამატებით მოწყობილია კიბე და ლითონის მოაჯირები. „3-4“ მონაკვეთში გაუქმდებულია ოთხი ფანჯრის ლიობი, ხოლო +2.48 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარის ლიობი. შეცვლილია ფასადის მოპირკეთება და არ არის შესრულებული დეკორატიული ლესვა. „5-6“ მონაკვეთში კედელი გადანეულია „ბ-ბ“ ღერძიდან დაახლოებით 0,15 მ-ით, „ბ-გ“ ფასადზე შეცვლილია აიგნის და კარფანჯრის კონფიგურაცია, +7,00 ნიშნულებით მოწყობილია საჩრდილობელი, შეცვლილია ფასადის მოპირკეთება და არ არის შესრულებული დეკორატიული ლესვა. -0,20 ნიშნულზე შეცვლილია კარ-ფანჯრის კონფიგურაცია და მოწყობილია ფარდა-ჟალუზი. „4-6“ ფასადზე +5,00 ნიშნულზე ოთხით ფანჯრის ლიობის ნაცვლად მოწყობილია სამი ფანჯრის ლიობი, გაზრდილია მათი გაბარიტი. „6-4“ ფასადზე „6-5“ მონაკვეთში +4,20 ნიშნულზე დამატებით, მოწყობილია ფრამუგა. სადარბაზოში შეცვლილია კიბის კონფიგურაცია.

ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ-466-12 №0001716/N001752) დადგენილება სამშენებლო სამართლდარღვევაზე, იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ ჰქონდა ნამსჯელი,

თუ ვისზე უნდა გავრცელებულიყო „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

სააპელაციო სასამართლომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 74-ე პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ უნებართვო მშენებლობა არის მშენებლობის ნებართვისა დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით გამოყენებული პერიოდის გასვლის შემდეგ.

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით ნარმოებული მშენებლობები.

განსახილველი დავის შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ლ-ი დაჯარიმდა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ქ. თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობის, აივნის მიშენებისა და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის. საქმეში ნარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით ირკვევა, რომ ბათილად იქნა (ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ-466-12 №0001716/№001752) დადგენილება, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა პასუხისმგებლობა სამშენებლო სამართალდარღვევაზე, ქ. თბილისში, ... ქუჩა №13-ში, შენობა-ნაგებობის ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა და ლითონის მოაჯირების, კარის ღიობის, ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილი აივნის, ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა და ლითონის მოაჯირების, ფასადზე შეცვლილი აივნის და კარ-ფანჯრის პროექტის დარღვევით ნარმოებული მშენებლობისათვის.

დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმ ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა და დადგენა, არსებობს თუ არა ერთი-დაიმავე ფაქტან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ მიღებული ორი განსხვავებული ადმინისტრაციული აქტი, სადაც ერთ შემთხვევაში (ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილება), მოსარჩელეს პასუხისმგებლობა დაეკისრა მის მიერ განხორციელებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე (უნდაართვოდ კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აივნის მიშენებისათვის და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის). ხოლო მეორე შემთხვევაში (ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულება), იგივე ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა, აივნისა და კარ-ფანჯრის პროექტის დარღვევით მშენებლობისათვის), მოსარჩელე გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასებისას ყურადღება უნდა მიაქციოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებაში ასახული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაადგინოს ადგილი აქვს თუ არა საქმის გარემოებათა იდენტურობას. რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება დადგინდეს სახეზეა თუ არა ქ. ღ-ის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძვლები.

სამართლებრივი კვალიფიკაცია:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილით, 96-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

კასატორი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – ქ. ღ-ი

მესამე პირი – ქ. თბილისის მერია

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველა.

მატერიალური: კასატორის შეფასებით, აბსოლუტურად გაუგებარია სასამართლოს დავალება – გამოიკვლიოს ერთიდაიმავე ფაქტთან დაკავშირებით, ხომ არ განხორციელდა ორი სხვადასხვა შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილების შესაბამისად, ქ. ღ-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა მის მიერ განხორციელებული უნებართვო სამშენებლო სამუშაოებისთვის, კიბის და კიბის ბაქნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთება, ხოლო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №001752 დადგენილებით, მოქალაქე ქ. ღ-ი დაჯარიმდა ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისათვის. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით ბათოლად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №001752 დადგენილება. აღნიშნული განკარგულების მიღების საფუძველია ის გარემოება, რომ 12.11.99 წ. №622 მშენებლობის ნებართვაში დამკვეთად მითითებულია ბ. ს-ე, ხოლო მოქალაქე ქ. ღ-მა და მ. მ-მა ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონება შეიძინეს 2004 წელს. სააპელაციო პალატის მსჯელობა იმასათან დაკავშირებით, რომ ერთ დარღვევაზე ორი აქტია გამოცემული, უსაფუძვლოა იმიტომ, რომ საქმეშია №001371 06.02.12 წლის სხდომის ოქმი, სადაც ქ. ღ-ი აღიარებს, რომ 2006-2007 წლებში მან განახორციელა უნებართვო მშენებლობა, რაც ასახულია სადაც დადგენილებაში ანუ აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არქიტექტურული პროექტის დარღვევა და უნებართვო მშენებლობა, რომელიც განხორციელდა 2006-2007 წლებში და რასაც აღიარებს ასევე მოსარჩელე ქ. ღ-ი.

კასატორი: ქ. თბილისის მერია

სარჩელზე მოპასუხე: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური

მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) – ქ. ღ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

მატერიალური: კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ი დაჯარიმდა 8000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნდართვოდ კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აივნის მიშენებისათვის და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის. აღნიშნული სამართალდარღვევის არსებობის ფაქტი დასტურდება საქმეში არსებული სხვადასხვა მტკიცებულებებით კერძოდ, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული მითითებით, შემოწმების აქტით, ფოტომასალით და 2011 წლის 21 ოქტომბრის №12/140757 განცხადებით, რომლის თანახმადაც, სამართალდარღვევმა ქ. ღ-მა მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ..., ქ. №13-ში უნდართვოდ მოწყობილი ფართის ლეგალიზება. კასატორის განმარტებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეგალიზების მოთხოვნით მხარემ თავადვე დაადასტურა მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი, რაც „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ექვემდებარებოდა სავალდებულო სანქციას (დაჯარიმებას). სამართალდარღვევის არ დაჯარიმება და მის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებლობა ჩაითვლებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებად.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №001752 დადგენილებით ქ. ღ-ი ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში დაჯარიმდა პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისათვის, რომელიც თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი, რაც ადასტურებს იმას, რომ აღნიშნულ სამართალდარღვევაზე ზედამხედველობის სამსახურს ნარმოება არ დაუწყია და არც სამართალდარღვე-

ვის ფაქტი გამოუვლენია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, სახეზეა ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში ქ. ლ-ის მიერ უნებართვო მშენებლობის წარმოების ფაქტი.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-
საშვებობის პროცესუალური წანამდლვრები (სასკ 34.3 მ.):**

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ კასატორების თბი-
ლისის მერიისა და თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-
ლაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები შეიცავს მითითებებს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერ-
ძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის
დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამარ-
თლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო
დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის
განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-
საციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული
გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმე-
ბისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დას-
კვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზე-
დამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები
არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-
ლატის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარე-
მოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის ადმინისტრა-
ციული საპროცესო კოდექსის 34.3 „გ“ ქვეპუნქტით გათვალის-
წინებული საფუძვლების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ
სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტი-
სას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი
დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია საქმეზე უკანონო
გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარ-
და ნორმა სადაც სამართალურთიერთობას და არსებითად სწო-
რად გადაწყვიტა დავა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-
მართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლე-
ული და დადგენილია კანონშესაბამისად, რაც სავალდებულოა
საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან წარმოდგენილი არ არის
დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ.თბილისში, ... ქუჩა №13-ში მოქალაქე ქ. ლ-ის მიერ განხორციელდა შენობა-ნაგებობაზე კიბის და კიბის ბაქნის მოწყობა, აივნის მიშენება და ფანჯრის ღიობის გადაკეთება კარის ღიობად შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. 2011 წლის 13 ოქტომბერს შედგენილი №001371 მითითებით, ქ. ლ-ს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად. 2011 წლის 21 ოქტომბერს, მოსარჩელემ მიმართა არქიტექტურის სამსახურს უნებართვოდ მიშენებული აივნისა და კიბის უჯრედის ლეგალიზების მოთხოვნით, რა დროსაც 13 ოქტომბრის მითითებით განსაზღვრული ვადა შეჩერდა ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. არქიტექტურის სამსახურმა მოსარჩელს ხარვეზი დაუდგინა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოსადგენად 10 დღის ვადა განუსაზღვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში განემარტა, რომ განცხადება განუხილველი დარჩებოდა. მოსარჩელემ დადგენილ ვადაში ხარვეზი ვერ შეავსო.

2011 წლის 18 ნოემბერს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტმა შეადგინა აქტი, რომლითაც დაფიქსირდა 13 ოქტომბრის მითითების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის 2012 წლის 17 იანვრის ბრძანებით ქ. ლ-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა და გაგრძელდა 2 თვით 2012 წლის 16 მარტამდე.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ლ-ი დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ. თბილისში, ... ქუჩა №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბისა და კიბის ბაქნის მოწყობისათვის, აივნის მიშენებისათვის და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის. აღნიშნული დადგენილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. 2012 წლის 20 მარტის №648 განკარგულებით ქ. ლ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 1 მაისის №001752 მითითებით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩა №13-ში მოქალაქე ქ. ლ-ის მიერ დარღვეულია მთავარი არქიტექტორის 12.10.1999 წლის №5622 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი, კერძოდ, პირველ სართულზე „2-1“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი და გამოყენებულია მომიჯნავე შენობის კედელი. მეორე სართულზე „2-1“ მონაკვეთში გაზრდილი ფანჯრის ღიობის გაბარიტი, „1-3“ მონაკვეთში გაზრდილია

ოთხი ფანჯრის ღიობის გაბარიტი, ხოლო სამ მათგანში დამატებით მოწყობილია თითო კარი, „1-4“ ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია აივანი ($0,90 \times 12,20$), რითაც მომატებულია ფართი (დაახლოებით 10,9 კვ.მ-ით), შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია, „1-4“ ფასადზე „1-2“ მონაკვეთში ფანჯრის ღიობის დაბლა მოწყობილია ღიობინის კარი, ფასადზე დამატებით მოწყობილია კიბე და ღიოთნის მოაჯირები. „3-4“ მონაკვეთში გაუქმებულია ითხი ფანჯრის ღიობი, ხოლო $+2.48$ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. შეცვლილია ფასადის მოპირკეთება და არ არის შესრულებული დეკორატიული ლესვა. „5-6“ მონაკვეთში კედელი გადაწეულია „ბ-ბ“ ღერძიდან დაახლოებით 0,15 მ-ით, „ბ-გ“ ფასადზე შეცვლილია აივნის და კარფანჯრის კონფიგურაცია, $+7,00$ ნიშნულებით მოწყობილია საჩრდილობელი, შეცვლილია ფასადის მოპირკეთება და არ არის შესრულებული დეკორატიული ლესვა. $-0,20$ ნიშნულზე შეცვლილია კარ-ფანჯრის კონფიგურაცია და მოწყობილია ფარდა-ჟალუზი. „4-6“ ფასადზე $+5,00$ ნიშნულზე ითხით ფანჯრის ღიობის ნაცვლად მოწყობილია სამი ფანჯრის ღიობი, გაზრდილია მათი გაბარიტი. „6-4“ ფასადზე „6-5“ მონაკვეთში $+4,20$ ნიშნულზე დამატებით, მოწყობილია ფრამუგა. საღარბაზოში შეცვლილია კიბის კონფიგურაცია.

ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით დაქმაყოფილდა მოქალაქე ქ. ღ-ის წარმომადგენლის დ. ა-ისა და მოქალაქე მ. მ-ის 2012 წლის 20 ივლისის №12/106425-1 და №12/106286-7 ადმინისტრაციული საჩივარი. ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ-466-12 №0001716/№001752) დადგენილება სამშენებლო სამართალ-დარღვევაზე, იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ ქონდა ნამსჯელი, თუ ვისზე უნდა გავრცელებულიყო „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილება გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლო-

ბით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტილისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა; შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 74-ე პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ უნებართვო მშენებლობა არის მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით გამოყენებული პერიოდის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები, ვინაიდან, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვების დარღვევას ან/და შეუსრულებლობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით. ამავე კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ტექნიკური ბარიერებისა და რისკების გათვალიწინებით სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა.

ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ი დაჯარიმდა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობის, აივნის მიშენებისა და ფანჯრის ღიობის კარის ღიობად გადაკეთებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ-466-12 დადგენილება, რომლითაც ღ-ს დაეკისრა პასუხისმგებლობა სამშენებლო სამართალდარღვევაზე ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში შენობა-ნაგებობის ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა და ღიოთონის მოაჯირების, კარის ღიობის, ფასადზე შეცვლილი აივნისა და კარ-ფანჯრის პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 წანილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სა-

მართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა სწორ შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ მარტივად რომ განვმარტოთ, სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა მაშინ, როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად სახელმწიფო სადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა ალნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სადაც საკითხთან დაკავშირებით გამოსაკვლევი არაფერია, რადგან ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ლ-ი დაჯარიმდა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობის, აიგნის მიშენებისა და ფანჯრის ღიობის კარის ლიობად გადაკეთებისათვის, ხოლო ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 5 ივლისის №4-1/დ-466-12 დადგენილება, რომლითაც ლ-ს დაეკისრა პასუხისმგებლობა სამშენებლო სამართალ-

დარღვევაზე ქ. თბილისში, ... ქ. №13-ში შენობა-ნაგებობის ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა და ლითონის მოაჯირების, კარის ლითობის, ფასადზე შეცვლილი აივნისა და კარ-ფანჯრის პროექტის დარღვევით წარმოებული მშენებლობისათვის, და განმარტავს, რომ ყველა მტკიცებულება ექვემდებარება გამოკვლევასა და შეფასებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება საერთოდ დაკარგავს აზრს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დადგენილი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განსახილეველი დავის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმ ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა და დადგენა, არსებობს თუ არა ერთი და იმავე ფაქტთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ორი განსხვავებული ადმინისტრაციული აქტი, სადაც ერთ შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 6 თებერვლის №001371 დადგენილებით ქ. ღ-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა მის მიერ განსხორციელებულ სამშენებლო სამართლდარღვევაზე (უნებართვოდ კიბის და კიბის ბაქნის მოწყობის, აივნის მიშენებისა და ფანჯრის ლიობის კარის ლიობად გადაკეთებისათვის). ხოლო მეორე შემთხვევაში, ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 26 ოქტომბრის №3047 განკარგულებით, იგივე ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, (ფასადზე დამატებით მოწყობილი კიბისა, აივნისა და კარ-ფანჯრის პროექტის დარღვევით მშენებლობისათვის) ქ. ღ-ი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ხორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლე-

ბამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემო-ების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდე-ბა სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიე-რების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმარ-თველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულ-ფასოვან რეალიზაციას და მართლმასაჯულების ეფექტიან გან-ხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგა-ნოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დად-გენა – შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ ზემოაღ-ნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ხელახლა უნდა შე-ისწავლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი შემოწმე-ბის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტები ქ. ღ-ის საჩივრის მიმართებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილი-სის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახურის საკასაციო საჩივრებში ჩამოყალიბებული არ-გუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არას-წორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან და-კავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გა-მომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსახესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შე-საბამისად, სადაც სამართალურთიერთობას სააპელაციო სა-სამართლომ სწორად შეუფარდა და განმარტა სამართლის ნორ-მა, რის გამოც არ არსებობს კასაციების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძ-ვლები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე კასატორებს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიის უნდა დაეკისროთ სასამართლო ხარჯე-ბის სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სა-სარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 408.3 და 410-ე მუხლებით

დაადგინა:

ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება;

3. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიის დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიმება უცეპართვო მშენებლობის გამო

განერინა

№ბს-247-238(2კ-13) 25 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-ემ 2012 წლის 6 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საარჩელით მიმართა ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 13 აგვისტოს №2321 განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის საკუთრებაში არსებულ ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... (ყოფილი ...) ქ. №29-ზე 2000-2001 წლებში ანარმოვა დაშენება. აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავ ნივთს 2007 წლის 1 ოქტომბრიდან მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო დაშენება მიჩნეულია უძრავი ძეგლის გვიანდელ ნაწილად. აღნიშნული დაშენება ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის №ლეგ-2564 ბრძანებით ლეგალიზებულ იქნა და საჯარო რეესტრში უძრავი ქონება ახალი მესაკუთრის - ზ. კ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა. შემდგომში, არქიტექტურის სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის №2564 ბრძანება ქ. თბილისის მერის 2009 წლის 9 დეკემბრის №1944 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი. ამ უკანასკნელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ დაშენება წარმოებულია 2007 წლის 1 იანვრამდე. ვ. კ-ის მიმართ დაიწყო სამართალდარღვევის საქმის წარმება ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 27 თებერვლის №001656 მითითებით, რომლის მოქმედება შეჩერდა ვ. კ-ის მიერ არქიტექტურის სამსახურში შეტანილი განცხადებით მოთხოვნილი ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტამდე. სამართალდარღვევის საქმის წარმოება განახლდა 2012 წლის 27 აპრილს შემოწმების აქტის შედგენით და მიღებულ იქნა დადგენილება ვ. კ-ის დაჯარიმების შესახებ.

მოსარჩელე მიჩნევს, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილება (ვ. კ-ის დაჯარიმების თაობაზე) მიღებულია სადავო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ვინაიდან დაჯარიმება მოხდა ვ. კ-ის განცხადებაზე არქიტექტურის სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. გარდა ამისა, თავად ამჟამინდელ მესაკუთრეს - ზ. კ-ეს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება უკანონო დაშენების ლეგალიზების თაობაზე დადგენილი წესით გასაჩივრებული ჰქონდა. სზაკ-ის 184-ე და სასკ-ის 29-ე მუხლების შესაბამისად აღნიშნული აქტების გასაჩივრებამ მათი მოქმედება შეაჩერა. ამასთან, ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

2012 წლის 27 თებერვლის №001656 მითითების შესრულება ვ. კ-ეს არ შეეძლო, ვინაიდან ქ. თბილისში, ... (ყოფილი ...) ქ. №29-ში მდებარე უძრავი ქონება, მასში შემავალი დაშენების ფართით 2011 წლის 13 ივლისიდან ზ. კ-ის საკუთრებაში იყო. შესაბამისად, ვ. კ-ის დაჯარიმება მითითებით დაგალებული დემონტაჟის განუხორციელებლობის გამო, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და ამ გარემოებას საქმისნარმოების შეწყვეტა უნდა გამოეწვია. მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან უძრავ ნივთს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მასზე რაიმე ზემოქმედება შესაბამისი ორგანოების დასკვნისა და ნებართვის გარეშე დაუშვებელია. მოსარჩელე ასევე არ ეთანხმება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის შესახებ“ კოდექსის გამოყენებით მის მიმართ საქმის წარმოების დაწყებას. ვ. კ-ე თვლის, რომ აღნიშნული კანონი ვრცელდება მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე, ხოლო მის მიერ წარმოებული დაშენება არანაირ საფრთხის შემცველ ელემენტებს არ შეიცავს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად ზ. კ-ე ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილება და ქ.თბილისის მერიის 2012 წლის 13 ავგისტის №2321 განცარგულება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ვ. კ-ის მიმართ დაიწყო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 27 თებერვლის მითითება გაიცა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის კოდექსთ“. აღნიშნული კოდექსის 103-ე მუხლის 28-ე პუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედებამდე დაწყებული, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, რომელზედაც გადაწყვეტილება არ არის მიღებული, დასრულდეს ამავე კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად“. ორი-

ვე ნორმატიული აქტის შესაბამისად, ქ. თბილისის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობისათვის ანესებს პასუხისმგებლობის ერთი და იმავე ზომას, საჯარიმო სანქციას 8 000 ლარის ოდენობით. ამასთან, „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლი ითვალისწინებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სახეზე იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვის საკუთრებაში არსებული ქონების დემონტაჟის განუხორციელებლობის გამო. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-ე წარმოადგენდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე პასუხისმგებელ (სამართალდამრღვევ) სუბიექტს. უძრავი ნივთის სხვა პირის საკუთრებაში ყოფნა ვერ გახდებოდა მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ამასთან, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სამართალდამრღვევს არ დაკისრებია უკანონო დაშენების დემონტაჟი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამრთალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობის გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ. „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-11 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-4¹ მუხლის მე-3¹ პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შეაჩეროს მინერილობით განსაზღვრული ვადის დინება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. დადგენილია, რომ მოსარჩელეს ზემოაღნიშნული კანონის

მოთხოვნათა შესაბამისად, მიწერილობით დადგენილ ვადაში 2012 წლის 23 მარტს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს და მოითხოვა სადავო დაშენების ლეგალიზაცია. 2012 წლის 26 მარტს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შეჩერდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა ფართის ლეგალიზაციის თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ლეგალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილება წარმოიადგენს სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს და სწორედ აღნიშნულის გამო კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შეაჩეროს მიწერილობით განსაზღვრული ვადის დინება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებაში არ იგულისხმება მისი კანონიერ ძალაში შესვლა. იმ პირობებში, როდესაც ვ. კ-ის მიერ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა ფართის ლეგალიზაციაზე, 2012 წლის 30 ივლისს გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და საქმეზე არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, ზედამხედველობის საქალაქო სამსახური არ იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება ვ. კ-ის დაჯარიმების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და დამატებით აღნიშნა, რომ სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი ფუნქცია, იგი ახდენს მხოლოდ ნორმის განმარტებას შესაბამისი კანონის ფარგლებში. კანონის განმარტებისას, დადგენილი უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოცემული ნორმის განმარტება არ ეწინააღმდეგება კანონის ობიექტურ მიზანს და იგი უზრუნველყოფს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სწორ გადაწყვეტას.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გაასაჩივრეს.

ქ. თბილისის მერიამ საკასაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, როგორც „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონი, ისე „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ კოდექსი ითვალისწინებს მითითების ვადის დინების შეჩერებას უნდართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი წარმოების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე და არა მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ე.ო. სსიპ არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო პროცესების დასრულებამდე. ამასთან, უნებართვო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ

არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეიძინა იურიდიული ძალა და ამის შემდეგ გაასაჩივრა მხარემ. კასატორი არ ეთანხმება ნორმის იმგვარ განმარტებას, რაც მოცემულია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში და აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული მითითების შეჩერების საფუძველი კანონმდებლობით ზუსტად არის გასაზღვრული. ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი ნორმა სხვაგვარად განმარტოს, კერძოდ, ლეგალიზების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო პროცესის დასრულებამდე შეაჩეროს სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა საკასაციო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თემა მოითხოვა. კასატორმა აღნიშნა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის მე-13.5 მუხლში მოხსენიებულია ტერმინი „შესაბამისი გადაწყვეტილება“, რაც გულისხმობს არქიტექტურის სამსახურში მიმდინარე წარმოების შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით დასრულებას. აღნიშნულ ნორმატიულ აქტში არ არის გამოყენებული ტერმინი „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება“. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იცნობს ტერმინს „გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას“, არამედ აღნიშნული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის გაცნობისთანავე. მოცემულ შემთხვევაში არქიტექტურის სამსახურის მიერ ვ. კ-ის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2012 წლის 24 აპრილს იმავე დღეს გაეცნო მხარეს, შესაბამისად, აქტი ძალაში შევიდა. რაც შეეხება ზედამხედველობის სამსახურს, სამართალდარღვევის საქმეზე შემოწმების აქტი მიიღო 2012 წლის 27 აპრილს. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება აჩერებს აქტის მოქმედებას, რაც არ გულისხმობს მისი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-

ლაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მათი განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებზე: ვ. კ-ე არის სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე პასუხისმგებელი (სამართალდამრღვევი) პირი, ვინაიდან ვ. კ-ემ ანარმოა ქ. თბილისში, ... ქუჩა №29-ში უნებართვოდ დაშენება. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 3 მაისის ზეპირი მოსმენის სხდომაზე ვ. კ-ემ განაცხადა, რომ სადაცვო მიშენება 2000 წელს განახორციელა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანებით ქ. თბილისში, ... ქუჩა №29-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის №ლეგ-2564 ბრძანებით ქ. თბილისში, ... №29-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ დაშენებული ფართი ლეგალიზებულად ჩაითვალა. ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 9 დეკემბრის №1944 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის №ლეგ-2564 ბრძანება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ვ. კ-ის სარჩელი ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 9 დეკემბრის №1944 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებით

ქ. თბილისში, ... №29-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრე 2011 წლის 7 ივლისს ზ. კ-ე გახდა. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 27 თებერვლის №001656 მითითებით ვ. კ-ეს დაევალა ქ. თბილისში, ... ქუჩა №29-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე წარმოებული დაშენების პირვნდელ მდგომარეობაში მოყვანა (დაშენებული ფართის დემონტაჟი), დარღვევის გამოსწორებისათვის 25-დღიანი ვადა განისაზღვრა. 2012 წლის 26 მარტს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შეჩერდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ვ. კ-ის მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა ფართის ლეგალიზაციის თაობაზე. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 27 აპრილს შედგა №001656 შემონმების აქტი, რომლითაც დადგინდა ვ. კ-ის მიერ მითითებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის №001656 დადგენილებით, ვ. კ-ე დაჯარიმდა ქ. თბილისში, ... ქუჩა №29-ში უნებართვოდ განხორციელებული დაშენებისათვის 8000 ლარით. ქ. თბილისის მერიის 2012 წლის 13 აგვისტოს №2321 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ვ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 4 ივნისის დადგენილება. ვ. კ-ემ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება ფართის ლეგალიზაციაზე უარის თქმის თაობაზე, 2012 წლის 30 ივლისს გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. საქმეზე არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

საქმეში წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2012 წლის 3 მაისს გამართული სხდომის ამსახველი №001656 ოქმი, რომლის თანახმად ვ. კ-ეს საქმის განხილვისას პქონდა შუამდგომლობა წარდგენილი ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა დაშენების ლეგა-

ლიზებაზე და აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლებოდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებად. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 2012 წლის 4 ივნისს მიიღო დადგენილება ვ. კ-ის დაჯარიმების შესახებ. ქ. თბილისის მერიაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას 2012 წლის 2 ივლისს გამართული ზეპირო მოსმენის სხდომის ოქმის მიხედვით დგინდება, რომ საჩივრის ავტორი ითხოვდა გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. აღნიშნული შუამდგომლობის პასუხად სხდომის თავმჯდომარებ განმარტა, რომ გასაჩივრებული დადგენილების მოქმედება შეჩერებულად ითვლება გადაწყვეტილების მიღებამდე. რაც შეეხება აღნიშნულთან დაკავშირებით ცალკე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებდა ადმინისტრაციული ორგანო. მოცემული დავის ფარგლებში ვ. კ-ის სარჩელის დაქმაყოფილების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მხედველობაში არ მიიღეს ვ. კ-ის მიერ უნებართვო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის თაობაზე სიიპ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არასებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული დავის მიზანია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2012 წლის 4 ივნისს ვ. კ-ის დაჯარიმების თაობაზე მიღებული დადგენილების კანონშესაბამისობის დადგენა. თავის მხრივ, აღნიშნული დადგენილება მიღებულია უნებართვო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის არქიტექტურის სამსა-

ხურის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომელიც ვ. კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით, ხოლო შემდეგ სარჩელით სადაცოდ გახადა. ზოგადი წესის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (რაც მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში) ემსახურება იმ მიზანს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ ჰქონდეს საფუძველი მიიღოს სამართლებრივი ან ფაქტობრივი ზომები ამ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უნებართვო მშენებლობის ლეგალიზების განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს სამშენებლო სამართლდარღვევის საქმის მნარმოებელი ორგანოს უფლებამოსილება, მოახდინოს სათანადო რეაგირება ლეგალიზების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოსარჩელე – ვ. კ-ე საქალაქო სასამართლოში წარდგენილ (24.09.12 წ.) მოსაზრებაში მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქ. თბილისში, ... ქუჩა №29-ში მდებარე უძრავი ქონების ამჟამინდელმა მესაკუთრემ ზ. კ-ემ თავად მიმართა არქიტექტურის უნებართვოდ აშენებული ფართის ლეგალიზების მოთხოვნით. ზ. კ-ეს უარი ეთქვა ფართის ლეგალიზებაზე და აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული იყო კანონით დადგენილი წესით. ამდენად, ზ. კ-ის საკუთრებაში არსებული უნებართვო დაშენების ლეგალიზების საკითხი წარმოადგენს არაერთი დავის საგანს. როგორც უკვე აღინიშნა სადაცო დაშენების ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია უნებართვო მშენებლობისათვის პირის დაჯარიმების საკითხის გადაწყვეტისას. ე.ი. ვ. კ-ის დაჯარიმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასება დამოკიდებულია უნებართვო დაშენების ლეგალიზებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერების დადასტურებაზე ან მის უარყოფაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო საქმის ხელახალი განხილვისას ვალდებულია ყოველმხრივ გამოკვლიოს საკითხი და მხოლოდ ისეთ გარემოებათა დადასტურების პირობებში დაადგინოს ვ. კ-ის უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობა, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს საკითხის ხელახლა განხილვისას სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის გან-ჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამარ-თლებრივი საფუძვლის შემონზება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწი-ლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩი-ნების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბ-რუნების საფუძველს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამარ-თლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშ-ვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფა-სება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კა-ნონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმა-ყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინე-ბა და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნ-დეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიშვილა უნებართვო მშენებლობის გამო

განხილვა

№ბს-110-103(2_3-13)

25 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: გ. ჩ-ა

მოპასუხევები

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;

2. ქ. თბილისის მერია;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №001151 დადგენილების ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 15 ნოემბრის №2660 განკარგულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: 2009 წლის 11 მარტს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ჩ-ას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე უძრავი ქონება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №001151 დადგენილებით გ. ჩ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისათვის და დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში უნებართვოდ აშენებული

საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი.

აღნიშნული დადგენილება გ. ჩ-ამ გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში, რომლის 2011 წლის 15 ნოემბრის №2660 განკარგულებით საჩივარი არ დაქმაყოფილდა.

სამართლებრივი: სამართლებრივ გარემოებებზე მითითებული არ აქვს.

მოპასუხები – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

ფაქტობრივი: მოპასუხის მითითებით, ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში არსებული მშენებლობა განხორციელებულია უნებართვიდ, ვინაიდან დაერთი მდგომარეობით არ არსებობს მისი კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოპასუხის განმარტებით, სამშენებლო სამართალდარღვევა სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს დენად სამართალდარღვევას და მასზე კანონმდებლობა ვრცელდება გამონაკლისის გარეშე ანუ სადაც მშენებლობით შესაბამისი კანონმდებლობა ირღვევა უწყვეტად და გაგრძელდება მანამ, სანამ სახეზე იქნება უნებართვო მშენებლობა. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის კანონის-მიერ ვალდებულებას წარმოადგენს სანქციების გატარება სამშენებლო სამართალდარღვევებზე, შესაბამისად, დადგენილება მიღებულია მიმდინარე დარღვევაზე, რომელიც დღეის მდგომარეობითაც არღვევს კანონს.

მოპასუხის მტკიცებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმოების მასალებითა და ფოტოსურათებით დასტურდება, რომ ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ცალკე შენობა-ნაგებობას და არა 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ჩ-ასათვის გადაცემულ ფართს.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, დადგენილების მიღებისას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გადაწყვეტილება მიიღო იმ გარემოებების, ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც სრულად იქნა გამოკვლეული და შესწავლილი.

მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, კონკრეტულად რომელი გარემოება არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

მოპასუხის – ქ. თბილისის მერიამ წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო

ფაქტობრივი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №001151 მითითებით, გ. ჩ-ას განესაზღვრა ვადა და დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი ან სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენა. 2011 წლის 26 ივნისის შემოწმების აქტით დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა. 2011 წლის 23 სექტემბრის მოხსენებითი ბარათით დადგენილია, რომ სადაც ობიექტი წარმოადგენს ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას. 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით მოქალაქე გ. ჩ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის უნებართვო მშენებლობისათვის.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ საქმეთ სამმართველოს სამშენებლო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათიდან დგინდება, რომ 2011 წლის 23 სექტემბერს, მის მიერ გადამოწმდა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მოქ. გ. ჩ-ას საკუთრებაში არსებული სახლი და დადგინდა, რომ აღნიშნული ობიექტი წარმოადგენდა ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას და შესაბამისად, მას არანაირი საერთო არ ჰქონდა 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, რომლის თანახმად, მოქ. გ. ჩ-ას, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა სამინისტრომ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე პირველი სართული (კორპუსის) 94 კვ.მ. 7 ოთახად. აღნიშნულ გარემოებას ასევე ადასტურებს საქმეში წარმოდგენილ ფოტომასალაც.

ამასთან, მოპასუხის მტკიცებით, 2011 წლის 3 ნოემბერს ქ. თბილისის მერიაში გამართულ ზეპირ მოსმენაზე გ. ჩ-ამ დააფიქსირა, რომ მან სადაც ინდიკირდებოდა ჩაუტარა სარემონტო და მშენებლობითი სამუშაოები, ამოიყვანა კედლები, შეუცვალა სახურავი, ხოლო 2008 წელს შეუცვალა ლიონები მათი გაფართოების მიზნით, შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, გ. ჩ-ა თავიდანვე ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.

მოპასუხებ არ გაიზიარა, მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ფართი არ საჭიროებდა შესაბამის სამსახურთან შეთანხმებულ პროექტსა და მშენებლობის ნებართვის აღებას, ვინაიდან, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გ. ჩ-ას საკუთრებაში გადასცა ზემოაღნიშნული ფართი, მშენებლობა მაინც მოითხოვდა შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემულ შეთანხმებულ პროექტსა და მშენებლობის ნებართვის არსებობას. ვინაიდან, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვების გამცემ უფლებამოსილ ორგანოს. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვებს გასცემს ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახური, ხოლო მის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა საქმეში არ მოიპოვება.

სამართლებრივი: მოპასუხის განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება კანონს, გამოცემულია კანონმდებლობის დაცვით და არ არსებობს მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საქმის გარემოებები:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 6 მარტის №15/294 ნერილის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე 6501 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (№8820099063027 ამონანერი ს/კ №...) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით ფართის გარეშე, შემდგომში შენობაში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2009 წლის 11 მარტს გ. ჩ-ასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, გ. ჩ-ას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... რაიონში, ... ქ. №57-ში, პირველ სართულზე მდებარე 94 კვ.მ 7 ოთახად.

2009 წლის 2 მარტს ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №000000885 დადგენილებით გ. ჩ-ა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა 2000 ლარით, ხოლო მიწერილობის შეუსრულებლობისათვის – 5000 ლარით.

ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 18 მაისის №467 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 მარტის №000000885 დადგენილება.

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექ-

ტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დაკ-მაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 18 მაისის №467 განკარგულება მისი ძალაში შესვლის დღიდან, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 მარტის №00000855 დადგენილება და ამავე სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №001151 მითითებით გ. ჩ-ას განესაზღვრა ვადა და დაევალა თბილისში, ... ქ. №57-ში აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი ან სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 26 ივლისის შემოწმების აქტის თანხმად გ. ჩ-ამ არ შეასრულა 2011 წლის 10 თებერვლის მითითება.

2011 წლის 23 სექტემბრის ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ საქმეთა სამმართველოს სამშენებლო საქმიანობის კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე გ. ჩ-ას საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას.

აღნიშნული მიწერილობის შეუსრულებლობის გამო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №001151 დადგენილებით გ. ჩ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისთვის და დაევალა უნებართვო მშენებლობის დემონტაჟი.

ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 15 ნოემბრის განკარგულებით №2660 არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ას სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 15 ნოემბრის №2660 განკარგულება ძალაში შესვლის დღიდან. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №001151 და მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის №001151 მითითებით გ. ჩ-ას განესაზღვრა ვადა და დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი, ან სანებართვო დოკუმენტაციის ნარმოდებენა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2011 წლის 26 ივლისს შეადგინა შემოწმების აქტი, რომელშიც დაფიქსირდა მითითებით განსაზღვრულ ვადაში მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილებით გ. ჩ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისთვის.

ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 15 ნოემბრის განკარგულებით №2660 არ დაკამაყოფილდა გ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე.

2009 წლის 11 მარტს გ. ჩ-ასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ გ. ჩ-ას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... რაიონში, ... ქ. №57-ში პირველ სართულზე მდებარე 94 კვ.მ ფართი 7 ოთახად.

სასამართლოს დასკვნები – საქალაქო სასამართლომ სარჩელი დაკამაყოფილა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №001151 და მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედვე-

ლობის სამსახურს დაავალა გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

სასამართლოს განმარტებით, უნდაპართოვო მშენებლობა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლის განხილვა-შეფასების პროცესში სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ სამართლებრივ აქტებთან ერთად, სხვა მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით რეგლამენტირებული ზოგადი პრინციპებით. მითითებული კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს შემდეგი პირობები, კეძროდ, უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, ქმედების ჩადენა მოხდა ბრალეულად (განზრას ან გაურთხილებლობით). არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თუ არ არსებობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედება, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია მსჯელობა პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. კანონმდებლის მიერ გამოყენებული ტერმინი „ხელმყოფი ქმედება“ თავისი შინაარსით გულისხმობს კანონით დაცულ სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც არღვევს კანონმდებლობით განმტკიცებულ მართლებრიგს, დაკისრებულ მოვალეობას ან ლახავს სხვათა უფლებებს.

სასამართლოს შეფასებით, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროისათვის მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევა არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რის-

თვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია კანონით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით დასტურდება, რომ გ. ჩ-ას სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... რაიონში, ... ქ. №57-ში პირველ სართულზე მდებარე 94 კვ.მ ფართი 7 ოთახად. ამდენად, აღნიშნული ფართი ნასყიდობის ხელშეკრულების საგნად იქცა და ამ გზით მოხდა მისი ჩართვა თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის (იმუმად მოქმედი) 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება ეს არის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ მიუთითა, რომ პრივატიზების ხელშეკრულება წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული საკუთრების უფლების ნამდგილობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევა ის გარემოება, რომ ქონების გამსხვისებელი წარმოადგენს მის მესაკუთრეს და ის საკუთრების უფლების გადაცემას მესამე პირებზე ახდენს ნამდგილი უფლების საფუძველზე, ვინაიდან ამავე კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე საკუთრების უფლების სხვისთვის გადაცემის სამართლებრივი უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ მის მესაკუთრეს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების ლეგალიზება არის ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე კანონიერი საკუთრების უფლების დადასტურება, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე, რომელზედაც საკუთრების შე-

ქერა განხორციელდა ან საკუთრების შეძენის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან გარიგებით ამ კანონის ამოქმედებამდე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებისა. აღნიშნული კანონის თანახმად, ლეგალიზების ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერი ქონება. ქონებას მიეკუთვნება ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც იმყოფება თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში, წარმოადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებას და რომელიც სახელმწიფო ან/და თვითმმართველმა ერთეულმა გადასცა საკუთრებაში პირს პირდაპირი ან წარმოებული სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხის განხილვისას მოპასუხე ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ვალდებულია, იმსჯელოს იმ საკითხთან დაკავშირებით, ხომ არ მოიცავს სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მის საკუთრებაში აღრიცხვა და შემდგომ არსებული სახით გ. ჩ-აზე პირდაპირი მიყიდვის გზით საკუთრებაში გადაცემა განხორციელებული მშენებლობის კანონიერად ცნობას (ლეგალიზებას). ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოიკვლიოს და კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინოს წარმოადგენს თუ არა რეალურად გ. ჩ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემული ფართი იმ უძრავ ქონებას, რომელსაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიიჩნევს უნებართვო მშენებლობად.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე, მე-60¹, 96-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 და 33-ე მუხლებით, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივაზიტებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 170-ე მუხლებით, „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით.

აპელაცია: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;

მოწინააღმდეგე მხარე: გ. ჩ-ა

სარჩელზე მოპასუხე – ქ. თბილისის მერია

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები:/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმდება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მტკიცებით, 2011 წლის 23 სექტემბრის მოხსენებითი ბარათით დადგენილია, რომ სადავო ობიექტი წარმოადგენს ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას, შესაბამისად, მას არანაირი საერთო არ აქვს 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, რომლის თანახმადაც, მოქ. გ. ჩ-ას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე პირველი სართული (კორპუსის), 94 კვ.მ 7 ოთახად. აპელანტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება ასევე დასტურდება საქმეში დაცული ფოტომასალით, სადაც ასახულია კორპუსებს შორის განთავსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

რაც შეეხება სასამართლოს მითითებას, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოსაკვლევია, წარმოადგენს თუ არა რეალურად გ. ჩ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით დაცული ფართი იმ უძრავ ქონებას, რომელსაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიიჩნევს უნებართვოდ, აპელანტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სათანადოდაა გამოკვლეული, კერძოდ, საქმეში დაცული არაერთი მტკიცებულება პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელზეც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, არ წარმოადგენს გ. ჩ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემულ ქონებას. აპელანტი მიუთითებს, რომ საქმეში დაცული 2011 წლის 3 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმში, მოქ. გ. ჩ-ა თავადვე ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აცხადებს, რომ სადავოდ ქცეული ობიექტს ჩაუტარა სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები, ამოიყვანა კედლები, შეცვალა სახურავი, 2008 წელს შეცვალა ღიობები მათი გადაფარვის მიზნით.

მეორე აპელანტი – ქ. თბილისის მერია

მოწინააღმდეგე მხარე: გ. ჩ-ა

სარჩელზე მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მტკიცებით, იმ შემთხვევაშიც თუ თბილისის სააპელაციო სასამართლო ჩათვლის, რომ გ. ჩ-ას მიერ უნდა არ მოიხდომოს საცხოვრებელი სახლი და საქართველოს ეკონომიკური სამინისტროს მიერ საკუთრებაში გადაცემული ფართი წარმოადგენს ერთსა და იმავეს, მანიც ვერ ჩაითვლება მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად, ვინაიდან 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გ. ჩ-ას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე პირველი სართული, 94 კვ.მ 7 ოთახად. აპელანტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გ. ჩ-ას საკუთრებაში გადასცა ზემოაღნიშნული ფართი, აღნიშნული მშენებლობა მაინც მოითხოვდა შესაბამისი სამსახურის მიერ გამოცემულ შეთანხმებულ პროექტსა და მშენებლობის ნებართვის არსებობას.

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში თბილისის საქალაქო სასამართლო მიუთითებს „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რაც მოცემულ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან, „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს საკუთრების უფლების საფუძვლების წარმოშობის კანონიერების შესწავლა, რაც მოცემულ შემთხვევაში სადავოდ არავის გაუხდია. გ. ჩ-ას მიერ გასაჩივრებული აქტები გამოცემულია სადავო ობიექტზე მშენებლობის ნებართვის არარსებობის გამო და არა საკუთრების უფლების კანონიერებაზე ან/და არაკანონიერებაზე. აპელანტის შეფასებით, უნდა არ თვო შენობის დემონტაჟი სამართალდარღვევის აღმოფხერისათვის არ არის ერთადერთი აღტერნატივი. დამრღვევს მოქმედი კანომდებლობა აძლევს უნდა არ თვოდ ან/და პროექ-

ტის დარღვევით აშენებული შენობის ლეგალიზების საშუალებას თუ ის 2007 წლამდეა აშენებული. ეს პროცესი კი სრულად განსხვავდება „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისაგან. ეს უკანასკნელი თუ შეეხება საკუთრების უფლებას და ლეგალიზებას, საქართველოს პრეზიდენტის №660-ე ბრძანებულებას პირდაპირ არეგულირებს უნებართვო შენობების ლეგალიზების პროცესს და სწორედ ამ კუთხით უნდა ემსჯელა სასამართლოს.

აპელანტის მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ შეფასდეს საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ახდენს გავლენას უნებართვო უძრავი ნივთის რეგისტრში რეგისტრაცია სამართალდამრღვევი პირის პასუხისმგებლობაზე იმ პირობებში, როდესაც თავად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ პირდაპირ უთითებს, რომ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს მესაკუთრეზე, თუ დაუდგენელია უნებართვო მშენებლობის მნარმოებელი პირი. ასევე მესაკუთრის პასუხისმგებლობაზე უთითებს ამ კანონის მე-14 მუხლი, შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევს, რომ იმის ცალსახად მტკიცება, რომ რეგისტრში რეგისტრაცია პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა, არასწორია. აპელანტი მიუთითებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს“ 25-ე მუხლის მე-11 პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს და განმარტავს, რომ ასეთ საფუძვლად კანონი უნებართვო ნივთის რეგისტრში რეგისტრაციას არ ითვალისწინებს.

გ. ჩ-ამ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შეპასუხებით მოითხოვა სააპელაციო საჩივრების დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება / სარეზოლუციო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სა-სამართლოს მსჯელობა და მიუთითა, რომ გასაჩივრებული ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და-ფუძნებულია ისეთ გარემოებებზე, რომლებიც არ იყო გამოკ-ვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, რის გამოც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 და 96-ე მუხლების მოთხოვნები. სადაც საკითხის განხილვისას მოპასუხე ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახური ვალდებული იყო, ემსჯელა მოიცავს თუ არა სახელმწიფოს მიერ მინის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მის საკუთრებაში აღრიცხვა და შემდგომ არსებული სახით გ. ჩ-აზე პირდაპირი მიყიდვის გზით საკუთრებაში გადაცემა განხორციელებული მშენებლო-ბის კანონიერად ცნობას (ლეგალიზებას). ამასთან, ადმინისტრა-ციული ორგანო ვალდებული იყო, გამოეკვლია და კანონით გათ-ვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე დაედგინა, წარმოადგენდა თუ არა რეალურად გ. ჩ-ასათავის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემული ფართი იმ უძრავ ქონებას, რო-მელსაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-სახური მიიჩნევს უნდართვო მშენებლობად.

კასატორი: ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახური;

მოწინააღმდეგე მხარე: გ. ჩ-ა

სარჩელზე მოპასუხე – ქ. თბილისის მერია

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინების გაუქმე-ბა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

მატერიალური: კასატორის განმარტებით, 2011 წლის 23 სექტემბრის მოხსენებითი ბარათით დადგენილია, რომ სადაც მიეკრის წარმოადგენს ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას, შე-საბამისად, მას არანაირი საერთო არ აქვს 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, რომლის შესაბამისადაც, გ. ჩ-ას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე პირ-ველი სართული (კორპუსი), 94 კვ.მ. 7 ოთახად. აღნიშნული გა-რემონტი ასევე დასტურდება საქმეში დაცული ფოტომასალით, სადაც ნათლად ჩანს კორპუსებს შორის განთავსებული ინდი-

ვიდუალური საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, კასატორის მტკიცებით, სასამართლოს მიერ 2009 წლის 1 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მსჯელობა უსაფუძვლოა. კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომლის თანახმად, ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოსაკვლევია, წარმოადგენს თუ არა რეალურად გ. ჩ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემული ფართი იმ უძრავ ქონებას, რომელსაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიიჩნევს უნებართვოდ, კასატორის მტკიცებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, სათანადოდაა გამოკვლეული და საქმეში დაცული არაერთი მტკიცებულება მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელზეც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, არ წარმოადგენს გ. ჩ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემულ ფართს. ამასთან, საქმეში დაცული 2011 წლის 3 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმში, გ. ჩ-ა თავადვე ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, მისი განმარტებით, სადაცო ობიექტს ჩაუტარა სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები, ამოიყვანა კედლები, შეცვალა სახურავი, 2008 წელს შეცვალა ლიობები მათი გაფართოების მიზნით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს.

კასატორი: ქ. თბილისის მერია

მოწინააღმდეგე მხარე: გ. ჩ-ა

სარჩელზე მოპასუხე – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

პროცესუალური: კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატის მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „ე“ და „ე“¹ ქვეპუნქტები, სასამართლო განჩინების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

მატერიალური: კასატორის მტკიცებით, სადაცო ობიექტი წარმოადგენს ცალკე მდგომ ინიციატივას და მას საერთო არ აქვს 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, რომ-

ლის თანახმად გ. ჩ-ას საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრომ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე პირველი სართული (კორპუსის), 94 კვ.მ. 7 ოთახად. რაც ასევე დასტურდება საქმეში არსებული ფოტომასალით. ამასთან, ის ფაქტი, რომ ობიექტს ჩაუტარა რემონტი და აღმშენებლობითი სამუშაოები, ამოყვანა კედლები, შეუცვალა სხურავი და 2008 წლს შეუცვალა ღიობები, გ. ჩ-ამ დაადასტურა თავადაც 2011 წლის 3 ნოემბერს ქ. თბილისის მერიაში გამართულ სხდომაზე.

კასატორის მტკიცებით, უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლი და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ საკუთრებაში გადაცემული ფართი რომც წარმოადგენდეს ერთსა და იმავეს ეს გარემოება მაინც ვერ ჩაითვლება გ. ჩ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად, ვინაიდან, 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტად, რადგან ეკონომიკისა და განვითარების სამინისტრო არ არის მშენებლობის ნებართვების გამცემი უფლებამოსილი ორგანო. მშენებლობის უფლების გამცემი ერთადერთი ორგანო ეს არის ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ გაცემული ნებართვა სადაც საცხოვრებელ სახლთან მიმართებაში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელ მტკიცებულებად საქმეში არ მოიპოვება.

სამართლებრივი: კასატორის მოსაზრებით, სასამართლოებს არ უნდა გამოყენებინათ საქართველოს კანონი „ქონების ლეგალიზების შესახებ“, ვინაიდან, კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს საკუთრების უფლების საფუძვლების წარმოშობის კანონიერების შესწავლა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სადაც არავინ გაუხდია. გ. ჩ-ას მიერ გასაჩივრებული აქტები გამოცემულია სადაც არის ერთადერთი აღმოჩენა და არა საკუთრების უფლების კანონიერებაზე ან/და არა კანონიერებაზე. კასატორის განმარტებით, უნებართვო შენობების დემონტაჟი სამართალდარღვევის აღმოფხვრისათვის არის ერთადერთი აღმოჩენა და მოქმედი კანონმდებლობა აძლევს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ლეგალიზების საშუალებას თუ ის 2007 წლამდე აშენებული, ეს პროცესი კი სრულიად განსხვავდება „ქონების ლეგალიზების შესახებ“ საქართველოს

კანონის მიზნებისაგან. ეს უკანსკნელი თუ შეეხება საკუთრების უფლებას და საფუძველის ლეგალიზებას, საქართველოს პრეზიდენტის №660-ე ბრძანებულება პირდაპირ არეგულირებს უნებართვო შენობების ლეგალიზების პროცესს და სწორედ ამ კუთხით უნდა ემსჯელა სასამართლოს, აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, სასამართლოებმა არასწორად განმარტეს და შეაფასეს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიზნები და რეგულირების სფერო. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა სამართალდამრღვევს უფლებას ანიჭებს ჯარიმის გადახდის გზით მიიღოს მშენებლობის ნებართვა უკვე უნებართვოდ ნაწარმოებ მშენებლობაზე, ამდენად, სასამართლოს მიერ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მიღებული დადგენილების საკუთრების ჩამორთმევად ან/და განადგურებად შეფასება არასწორია.

კასატორის მტკიცებით, მეტად მნიშვნელოვანია იმ საკითხის შეფასება თუ რამდენად ახდენს გავლენას უნებართვო უძრავი ნივთის რეესტრში რეგისტრაცია სამართალდამრღვევი პირის პასუხისმგებლობაზე იმ პირობებში, როდესაც თავად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ პირდაპირ უთიოებს, რომ კანონის მოქმედება შეიძლება გაერცელდეს მესაკუთრეზე, თუ დაუდგენელია უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი. ასევე მესაკუთრის პასუხისმგებლობაზე მიუთიობს ამ კანონის მე-14 მუხლიც. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ რეესტრში რეგისტრაცია პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებაა არასწორია. ამასთან, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25.11 მუხლი განსაზღვრავს სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს. ასეთ საფუძვლად კანონი უნებართვო ნივთის რეესტრში რეგისტრაციას არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის და-საშვებობის პროცესუალური ნანამდღვრები:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეუნექტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-

საციონ საჩივრების მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საკასაციო საჩივრის მოტივი განხახილველ საქმეში, რამაც შექმნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აპსოლუტური კასაციის წარმატები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული სამართლებრივი თვალსაზრისით, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასება მიეცეს:

1. რამდენად კანონშესაბამისად ხდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, დადგენა და ადეკვატური სამართლებრივი კვალიფიკირების მიცემა.

2. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების – გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობა სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახლა აქტის გამოცემის დავალება, აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების და მის შედეგად გამოცემული აქტის კანონიერების სამართლებრივი შეფასება;

1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-დადგენა-შეფასება უმნიშვნელოვანეს პროცედურულ სტადიას წარმოადგენს და სწორედ მასზეა დამოკიდებული გამოცემული აქტით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა. რამდენადაც სწორედ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს მოწესრიგებისთვის სამართლის წორმის შეფარდება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის გამოვლენა და დამრღვევის დასჯა ემ-სახურება მმართველობის კანონიერებას, საჯარო წესრიგს, ხოლო პროცედურული მოქმედებების ჩატარების ვალდებულება – კერძო ინტერესის – ადამიანის უფლების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფას. ასეთის იგნორირების პირობებში ირღვევა ადმინისტრაციული სამართლის ასევე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი – კერძო და საჯარო ინტერესების პროცედულობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები ნარმოშობს საჯარო ფუნქციის განმხორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას – სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ სრულად უნდა გავრცელდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები (ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, მონინაალმდეგე მხარე შპს „...“ მიმართ), რომელიც ეხება საჯარო მოსამსახურეთა ქცევის სტანდარტის დადგენას, კერძოდ, სასამართლომ მითითებულ საქმეზე დაადგინა: „სწორედ საჯარო სამსახურის სისტემის დაყოველი საჯარო მოსამსახურის როლის ჯეროვანი გაცნობიერება დაედო საფუძვლად ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და ზრუნვას მათი დამკვიდრებისთვის. ასე, მაგალითად, 1979 წლის 17 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, რომლის 1-ლი მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისგან მათი პროფესიისათვის საჭირო პასუხისმგებლობის მაღალი დონით. მე-2 მუხლის თანახმად, მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის

პირნი თავიანთი მოვალეობის შესრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებას, ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ. მე-8 მუხლის თანახმად კი მართლწესრიგის დამ-ცველი თანამდებობის პირნი პატივს სცემენ კანონს და მოცე-მულ კოდექსს იყენებენ ხელთ არსებულ საშუალებებს და ყო-ველმხრივ აღკვეთენ და ენინააღმდეგებიან მათ დარღვევას.

ადამიანის უფლებები, რომლის დაცვის ვალდებულებაც გა-აჩნია საჯარო მოხელეს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას დადგენილია და დაცულია ეროვნული და საერთაშორისო სამარ-თლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს განეკუთვნე-ბა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთა-შორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესა-ხებ და ა.შ. აუცილებელია დაცული იყოს წონასწორობა ერთი მხრივ, იმ დაწესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუ-ცილებლობისათვის, რომელზეც დამოკიდებულია საზოგადოე-ბა და მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვე-ვასთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსა-ხურისა და დახმარების განწევას, რომელიც პირადი, ეკონომი-კური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზე-ზებით საჭიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის მიზანი სწორედ იმგვარი ნორმატიული სტანდარტების შექმნაა, რომე-ლიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტე-რესებისა და კანონის უზრუნველყოფისას დაცვას /ზოგადი ადმინის-ტრაციული კოდექსის 1.2. მუხლი/.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსა-ხურს, მიუხედავად ერთიანი სისტემური ბუნებისა, ფუნქციუ-რი მრავალფეროვნება ახასიათებს. იქნება ეს – მართლწესრი-გის დაცვის, საბაჟო-საგადასახადო სისტემის, სამხედრო სამ-სახურის, თუ თვითმმართველობის სფერო, ყოველ მათგანს გან-სხვავებული სპეციფიკა გააჩნია, თუმცა საერთო აქვთ მიზანი და ამოცანა – ზრუნვა საზოგადოების ინტერესების საკეთილ-დღეოდ“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახ-მად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორ-განოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამო-იყვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეაფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სადავო საკითხთან მიმართებაში ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების თაობაზე, ვინაიდან, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომ ობიექტურად არ გამოკვლევია საქმის გარემოებები, ისე მიიჩნია გ. ჩ-ა სამართალდამრღვევად.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დეფინირებული სამართლებრივი ტერმინის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილეობი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშენონილობას.

ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში დამრღვევის მოწვევის ვალდებულება უზრუნველყოფს პირის უფლებას ისარგებლოს საპრო-

ცესო უფლებებით და მათი მეშვეობით დაიცვას თავისი მატერიალური უფლებები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში პირის პროცედურული უფლებების, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს პროცედურული ვალდებულებების გაუთვალისწინებლობა ადმინისტრაციული წარმოების ინსტიტუტის მნიშვნელობისა და როლის დაკანინებას გამოიწვევს. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ნიშნავს მის ხელმისაწვდომობას და პირის კონსტიტუციური უფლებებით გარანტირებულ სარგებლობას.

2. საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს აწესრიგებს რა 1999 წლის 16 აპრილის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი, რომლის 5.4. მუხლის თანახმად, თავის საქმიანობაში სააღსრულებო დაწესებულება – სააღსრულებო ბიურო ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს ნორმატიული აქტებით და სააღსრულებო ბიუროს დებულებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახე მის კანონიერ ძალაში შესვლისას აღსრულების სპოფტიფიკურ სახეს განეკუთვნება, რა დროსაც სასამართლო აქტი აღსრულდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაცვო საკითხზე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგავრი სასამართლო აქტის აღსრულებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით შესარულოს სასამართლოს დაგვალება. არამედ, ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც სასამართლომ გამოურკვევლად და დაუგენლად ჩათვალა და ამავდროულად, მათ გამოკვლევა-დადგენა სადაცვო საკითხის სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტისათვის აუცილებლად მიიჩნია, სათანადო პროცედურების და სამართლებრივი ინსტიტუტების მეშვეობით ჯეროვნად უნდა იქნეს გამოკვლეული, დადგენილი და შეფასებული.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ ზემოაღნიშნულის უგულებელყოფა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ, როგორც ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების არსებით დარღვე-

ვად, არამედ, ამავდროულად როგორც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის არაღსრულება, რაც სასამართლო აქტების სავალდებულობის შესახებ კონსტიტუციური დანაწესის იგნორირებას ნიშნავს.

საკასაციო სასამართლო ქვემდგომი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების კანონიერების შემოწმებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-220-210(კ-06) დ. მ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, 2006 წლის 4 ივლისის განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს რომელის მიხედვით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის კვალიფიციური გამოყენების შესახებ, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ნარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სა-

დავონ საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოყვლევის გარეშე, მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დაცვით“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავონ აქტი გამოცემულია სწორედ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე გამოცემული სასამართლო აქტის აღსრულების მიზნით, თუმცა, არავალითიციურად და არასრულფასოვნად. მოცემულ საქმეზე პრაქტიკულად ქვემდგომმა სასამართლოებმა განმეორებით გამოიყენეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახე, რამდენადაც კვლავ გაურკვევლად დარჩა გ. ჩ-ას ქმედების კვალიფიკი-სათვის განმსაზღვრელი ფაქტობრივი გარემოების – სადავონ მიშენების კუთვნილება, მისთვის საკუთრებაში გადაცემულ სახლზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და გ. ჩ-ას შორის გაფორმებული ხელშექრულების 2.5 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულებას და განხორციელებულია მის ფარგლებში თუ წარმოადგენს დამოუკიდებელ წაგებობას, აშენებულს სამშენებლო ნებართვის მოპოვების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახე ერთის მხრივ, სასამართლოს ავალდებულებს მეაფიოდ დაადგინოს თუ რა ფაქტობრივი გარემოებებია გამოსაკვლევი ხელახლა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას და მეორეს მხრივ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები მოვალენი არიან სასამართლო აქტით დადგენილ ფარგლებში ჩატარონ სრულყოფილი კანონშესაბამისი პროცედურა და გამოსცენ კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეესაბამება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო აქტის აღსრულების მიზანს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში გათვალისწინებული გადაწყვეტილების

ეს სახე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას ადმინისტრაციულ ორგანოებს აძლევს პროცედურული მოქმედებების ფართო დისკრეციას, მათ შორის, სადაც საკითხზე კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის საკითხის გამოკვლევასა და შეფასების შესაძლებლობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ. ჩ-ას დევნილის სტატუსი, მისი სოციალური მდგომარეობა და საჭიროებაზი ინდივიდუალურად უნდა შეფასებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, გაენია მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი კონსულტაცია, მისი მოქმედებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის გასაჩივრებული დადგენილება საერთოდ არ შეიცავს არანიარ მითითებას, მსჯელობას იმაზე, რომ დედაქალაქის მერია შეეცადა მოქალაქის სამართლებრივი პრობლემის იურიდიულ ფარგლებში მოქცევას, მათ შორის უკანონო მშენებლობის ნებართვის ლეგალიზების მომნესრიგებელი კანონმდებლობის ნორმებითა და დანაწესებით დადგენილი უფლებების გამოყენების მეშვეობით. ამგვარ მსჯელობას ასევე არ შეიცავს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს სადაც განკარგულებაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე აქტის გამოცემის ვალდებულებით, მმართველობითი საქმიანობის მიზანს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, ნარმოადგენს: „უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა“, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოები პრაქტიკულად არ იყენებენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ადმინისტრაციული წარმოების უმნიშვნელოვანეს ნორმას – ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვისა და მონაწილეობის შესახებ. ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ამოცანა სწორედ დაინტერესებულ მხარეთა კანონთან კონფლიქტის შემცირება უნდა იყოს, მათი უფლებებისა და ინტერესების ლეგიტიმურ ფარგლებში მოქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება ფორმალისტურ პროცედურად გადაიქცევა და საზოგადოებისათვის სრულიად უსარგებლო ხასიათს მიიღებს, დაინტერესებული პირის მიერ თავისი უფლება-მოვალეობებში ვერ გარკვევა, სამართლებრივი ცოდნის სიმწირე, გა-

ნაპირობებს უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო წესით უფლების უპერსპექტივო დაცვის საშუალებების გამოყენებას. რაზედაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი და სოლიდური როგორც კერძო, ასევე, საბიუჯეტო სახსრები იხარჯება. აღნიშნული მსჯელობის დასტურია ისიც, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში წაკლებად გამოიყენება მორიგების, მედიაციის, სამართლებრივი პრობლემის კომპლექსურად დაძლევის სხვა შესაძლებლობები, რაც საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბრივი მასშტაბით სამოხელეო და საბიუჯეტო ტვირთის სერიოზულ გაზრდას ინვესტ და ნეგატიურად აისახება საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის და მათ შორის, საჯარო მმართველობის ხარისხზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებსა და მიაჩნია, რომ მართებულად გამოიყენეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რამდენადაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №001151 დადგენილება გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტილისას მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც არ განხორციელებულა, შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს ეკონო-მიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 6 მარტის №15/294 ნერილის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული საა-გენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდე-ბარე 6501 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (№8820099063027 ამონანერი ს/კ №...) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით ფართის გა-რემე, შემდგომში შენობაში აფაზეთიდან იძულებით გადაად-გილებული პირების მიერ დაკავებული ფართების საკუთრება-ში გადაცემის მიზნით.

2009 წლის 11 მარტს გ. ჩ-ასა და საქართველოს ეკონომიკუ-რი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს შორის გა-ფორმებული ხელშეკრულებით გ. ჩ-ას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ... რაიონში, ... ქ. №57-ში პირველ სართულზე მდება-რე 94 კვ.მ ფართი 7 ოთახად.

2009 წლის 2 მარტს ქ. თბილისის ზედამხედველობის საქა-ლაქო სამსახურის №00000885 დადგენილებით გ. ჩ-ა ქ. თბილის-ში, ... ქ. №57-ში უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა – 2000 ლარით, ხოლო მიწერილობის შეუსრულებლობისათვის – 5000 ლარით.

ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 18 მაისის №467 განკარგუ-ლებით არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 მარტის №00000885 დადგენი-ლება.

ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექ-ტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ას სააპელაციო საჩივარი დაკ-მაყოფილდა ნანილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვე-ტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მე-რიის 2009 წლის 18 მაისის №467 განკარგულება მისი ძალაში შესვლის დღიდან, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალა-ქო სამსახურის 2009 წლის 2 მარტის №00000855 დადგენილება და ამავე სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითა მნიშვნე-ლობის მოქნე გარემოებებისა და შეფასების შემდეგ ახალი ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-ცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით დაუშვებ-ლად იქნა მიჩნეული ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერი-ის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივ-რები.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის 2011 წლის 29 ივნისის №001151 მითითებით გ. ჩ-ას განე-საზღვრა ვადა და დაევალა თბილისში, ... ქ. №57-ში აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი ან სანებართვო დოკუმენ-ტაციის წარდგენა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის 2011 წლის 26 ივლისის შემოწმების აქტის თანხმად გ. ჩ-ამ არ შეასრულა 2011 წლის 10 თებერვლის მითითება.

2011 წლის 23 სექტემბრის ქ. თბილისის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ საქმეთა სამ-მართველოს სამშენებლო საქმიანობის კონტროლის განყოფი-ლების მთავარი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის შესაბა-მისად, ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე გ. ჩ-ას საცხოვრებე-ლი სახლი წარმოადგენს ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობას.

აღნიშნული მიწერილობის გამო ქ. თბილისის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბრის №001151 დადგენილებით გ. ჩ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისათვის და ასევე დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში უნებართვოდ აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტა-ზე.

ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 15 ნოემბრის №2660 განკარ-გულებით არ დაკმაყოფილდა გ. ჩ-ას ადმინისტრაციული საჩი-ვარი თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილების ბათილად ცნო-ბის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხ-ლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქარ-თველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზე-მოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გა-მო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წე-სით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარ-

ლვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირნი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი კი მოთხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს.

სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას ან/და შეუსრულებლობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით. ამავე კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ტექნიკური ბარიერებისა და რისკების გათვალისწინებით სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები. მოცემულ შემთხვევაში სადაცოის ფაქტი, რომ გ. ჩ-ამ ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა აწარმოა შესაბამისი არქიტექტურული პროექტისა და სამშენებლო ნებართვის გარეშე და სა-

დავონ შენობა წარმოადგენს ცალკე მდგომ ობიექტს თუ ეს არის მისთვის საკუთრებაში გადაცემულ სახლზე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2009 წლის 2 მარტის №00000885 დადგენილებით გ. ჩ-ა დაჯარიმდა ქ. თბილისში, ... ქ. №57-ში მდებარე სახლის უნდართვო მშენებლობისათვის – 2000 ლარით, ხოლო მინერილობს შეუსრულებლობისათვის – 5000 ლარით, აღნიშნული დადგენილება სასამართლოს მიერ სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა, გამოეკვლია გ. ჩ-ამ განახორციელა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის (შეთანხმებული პროექტი საცხოვრებელ სახლზე და მშენებლობის წესართვის) გარეშე თუ მოახდინა 2009 წლის 11 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მისი ოჯახისათვის გადაცემული მანამდე სახელმწიფო საკუთრებაში და მის სარგებლობაში არსებული 94 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, მდებარე ქ. თბილისში, ... რაიონში, ... ქ. №57-ში 1-ელ სართულზე, საცხოვრებელ მდგომარეობაში მოყვანა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი დასკვნა ჩამოაყალიბა, როცა დაადგინა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა გამოიკვლიოს თუ რა მდგომარეობაში გადაეცა გ. ჩ-ას ბინა და რას მოიაზრებდა ხელშეკრულებაში მითითება იმისა, რომ გადაცემული უძრავი ქონება გამოეყენებინა ისე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირები უზრუნველეყოთ სათანადო საცხოვრებელი პირობებით. ხელშეკრულების ამ პირობით გ. ჩ-ას წარმოეშვა თუ არა სადაც ფართზე მშენებლობის ან მიშენების უფლება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრულია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ფუნქციები, ერთ-ერთი მათგანი ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით „მშენებლობის დადგე-

წილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა“ ანუ მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს ნარმოადგენს სსიპ თბილისა არქიტექტურის სამსახური და არა სხვა რომელმე ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა, ამასთან, განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატიის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხარისხი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშვერდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, რასაც ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის უფლება ეწოდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩინია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამტკიცირება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელი გარკვეულნილად უფრთხილდება აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებრივ მდგომარეობას და პრიორიტეტს ანიჭებს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს გ. ჩ-ას ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, წარმოეშვა თუ არა მოლოდინი, რომ მის-თვის სარემონტო სამუშაობის განხორციელების დროს აღარ იყო

საჭირო სანებართვო დოკუმენტის გაცემა, მით უფრო იმ პირობებში როდესაც ცხადია, რომ გ.ჩ.-ას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არ გააჩნია სათანადო ცოდნა მისი განმარტებები სასამართლო ორგანოებში ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები მას აძლევდა მშენებლობის წებართვის უფლებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და ადსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადგების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დღიდნილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშენონილობას.

მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს დაცული არ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.2 მუხლი, რომლის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართალია, კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, დადგენილება გამოსცეს მხოლოდ სამართალდარღვევის შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაჯარიმება სამართალდამრღვევეს არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ.ჩ.-ას სამართალდარღვევის გამოსწორება შეეძლო არა მხოლოდ დემონტაჟისა და ჯარიმის გადახდის გზით, არამედ უკანონო მშენებლობის ლეგალიზების გზითაც. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური თა-

ნახმა იყო გ. ჩ-ასათვის გაეცათ მიშენების დასრულების წებართვა, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავდა ქონების ლეგალიზებას და რისთვისაც საჭირო იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა, ვინაიდან, ის საკადასტრო ერთეული, სადაც განთავსებული იყო სადაცო ობიექტი წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას უნდა გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, კანონისმიერი ვალდებულება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების განევის მოვალეობის თაობაზე და ხელახლი წარმოების ჩატარებისას უნდა მოინვიოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გაუნიონ მოქალაქეს დახმარება მისი უფლებების დაცვაში, ვინაიდან, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია გ. ჩ-ას მიმართვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსადმი და შემდგომში სამინისტროს წერილი. აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ჩ-ას სამართლებრივად სწორად ვერ გაერკვა და ვერ ჩამოაყალიბა მისი მოთხოვნა, მას არ გააჩნია სათანადო ცოდნა და უნარი კვალიფიციურად დაეცვას თავისი ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.

საკასაციო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ასევე ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-1250-1194(კ-09) შპს „...“ სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მიმართ, სასამართლო დავასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, კერძოდ:

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა. აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი,

მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირი-სათვის სამართლებრივი დახმარების გაწევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას და რომლის შესრულების კანონიერი, პატივსადები მოლოდინი გააჩინია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის მძიმე სოციალურეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიუწვდომლობა, პროფესიული კავშირების საქმიანობის არაეფექტურიანობა და სხვ., განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებელს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. სწორედ, თანამედროვე საჯარო მოსამსახურების კეთილსინდისიერებაზე, ნებისყოფასა და მზრუნველ დამოკიდებულებაზე არის მიბმული, თუ რამდენად მცირერიცხოვანი იქნება, ან რა მასშტაბებს მიიღებს მოქალაქეთა კონფლიქტი კანონთან. საჯარო სამსახურის არსი, ნამდვილი შინაარსი სწორედ ამგვარი შესაძლო კონფლიქტის პრევენციას გულისხმობს. თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის მხრიდან მითითებული პროფესიული და მორალური ტვირთის გასიგრძეგანება, საკუთარი სტატუსის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გა-

თავისება უაღრესად დადებით როლს შეასრულებს საჯარო ინ-სტიტუტების მიმართ ნდობის, პატივისცემის ატმოსფეროს დამ-კვიდრებაში, საზოგადოების პოზიტიური განვითარების ტენ-დენციის გამოკვეთაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო მოსამსახუ-რეთა ვალდებულებას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა სრული ინფორმირება არა მხოლოდ უფლებრივი ასპექტით, არა-მედ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულებელყოფილია“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულ-ფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მი-იღოს დაინტერესებულ მხარეთა მოსმენის ან სხვა ნებისმიერი კანონით განსაზღვერული პროცედურის ჩატარების მეშვეობით. ქ. თბილისის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა იმსჯელოს საკითხის იმგვარად გადაწყვეტაზე, რომ არ შეიღლაბოს ადამია-ნის ძირითად უფლებები, მათ შორის, უფლება სამართლებრი-ვად დაცულ გარემოში ცხოვრებისა, სამართლებრივი სახელმწი-ფოს პრინციპი და მეორეს მხრივ, მმართველობის განხორციე-ლება კანონიერების პრინციპის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისთვის, რომ შეს-რულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინ-დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-ცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარე-მოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებუ-ლი ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგობრივი და დაუ-საბუთებელი დასკვნის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა და კონკრეტული შემთხვევისათვის მიიღოს კანონი-ერი გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეზე ხე-ლახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას, თუ კი შე-უძლებელი იქნება გ. ჩ-ას ქმედების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა ზემოთ მითითებული შესაძლებლობათა გამოყენებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასება უნდა მისცეს შემდეგ გარემოებას: სადაც აქტით ჯარიმის დაკისრების სამართლებ-რივ საფუძვლად მითითებულია „ტექნიკური საფრთხის კონ-

ტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც გ. ჩ-ა უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა 10 000 ლარით. საკსაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შემდგომი რედაქციის 22.1 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციას ქ. თბილისის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისა ან/და რეკონსტრუქციისათვის 8000 ლარის ოდენობით, ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად ან საინუინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარით. ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს ამჟამად მოქმედი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაჟუქებელ აქტს აქვს უკუკლევითი ძალა, ე.ი. კრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრებში ჩამოყალიბებული არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არასწორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადაც სამართალურთიერთობას სააპელაციო სასამართლომ სწორად შეუფარდა და განმარტა სამართლის ნორმა, რის გამოც არ არსებობს კასაციების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი საფუძ-

ვლები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე კასატორებს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიას უნდა დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სა-სარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 390-ე, 408.3 და 410-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაკ-მაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება;

3. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურსა და ქ. თბილისის მერიას დაეკისროთ სასამართლო ხარ-ჯების სახით 100-100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

უცხართვო მშენებლობისათვის დაჯარიმების სურველი

განჩინება

№პს-210-202(კ-13)

20 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2012 წლის 29 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ზ. ა-
მა მოპასუხების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-
ქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ქ.თბილისის მერიის 2012
წლის 19 ივლისის №2055 განკარგულებისა და ქ.თბილისის მე-
რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23
აპრილის №001660 დადგენილების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ.
ა-ის სარჩელი არ დაქმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ 2012
წლის 28 თებერვალს, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამ-
სახურის სპეციალისტებმა შეადგინეს მითითება №001660 ზ. ა-
ისა და ფ. ა-ის მიმართ, სადაც დაფიქსირდა, რომ ქ.თბილისში,
დიდი ლილო, სოფელი ..., მოქალაქე ზ. ა-მა და ფ. ა-მა განახორ-
ციელებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლო-
ბა, შესაბამისი სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის გა-
რეშე. მოსარჩელებს მითითებით დაევალათ 15 დღის ვადაში,
მითითების გაცემამდე არსებული შესაბამისი სამშენებლო სა-
ნებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან ინდივიდუალური საც-
ხოვრებელი სახლის დემონტაჟის განხორციელება; 2012 წლის
14 მარტს, ფ. ა-ის წარმომადგენელმა ა. კ-მა განცხადებით მი-

მართა თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს ქ.თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დასრულებაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით; ინსპექტირების სამმართველოს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტის 2012 წლის 16 მარტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მითითებით განსაზღვრული ვადის დაწეს შეჩერდა უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით მხარეს დაუდგინდა ხარვეზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარსადგენად განესაზღვრა ვადა 10 დღით, ხოლო სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 მარტის №103134 ბრძანებით განმცხადებელს უარი ეთქვა ქ. თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... უნებართვოდ დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრაზე; 2012 წლის 2 აპრილს, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა შეადგინეს შემოწმების აქტი №001660, რომელშიც დაფიქსირდა ზ. ა-ის მიერ მითითებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მითითების გამოცემის დროს ქ. თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... მდებარე მინის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა ფ. ა-ი, რომელიც 2012 წლის 16 მარტის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახურის გარდაცვალების მოწმობის თანახმად, გარდაიცვალა 2012 წლის 15 თებერვალს. შესაბამისად, ზ. ა-ი ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპრილის №001660 დადგენილებით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის დაჯარიმდა 8 000 ლარით ქ.თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისათვის.

სასამართლომ მიუთითა, რომ ქ.თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლისად ზ. ა-ი ანარმოებდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პროექტისა და სანებართვო მოწმობის გარეშე და ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალა-

ქო სამახურის მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შეასრულა.

სასამართლომ იხელმძღვანელა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-სამე მუხლის 74-ე პუნქტით, რომლის თანახმად, უნებართვო მშენებლობა – ეს არის მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ; სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, ზ. ა-ი ვალდებული იყო, მშენებლობა ენარმოებინა შესაბამისი ნებართვით, რაც მან უგულვებელყო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ სამშენებლო სამართლდარღვევა არის საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც გასაჩივრებული თბილისის მერიის ზედამხედევლობის საქალაქო სამსახურის დადგენილების გამოცემის დროისათვის მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახამად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ წარმოადგენს სამართალურთიერთობის მონაწილეს, რამდენადაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ფ. ა-ი, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო მოსარჩელე არ წარმოადგენს მის მემკვიდრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედეველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამართალდარღვევა დაფიქ-სირდა მიმდინარე ეტაპზე და სამართალდარღვევის საქმისნარ-

მოება დაწყებული იყო ზ. ა-ისა და ფ. ა-ის მიმართ, შესაბამისად, ზ. ა-ს ეკისრებოდა სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება. ამასთან, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე, რომლის დროსაც ხორციელდება შენობა-ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემების ან კვანძების მშენებლობა, მონტაჟი, დემონტაჟი ან სხვა სპეციალური სამუშაოები; ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ამ კანონის მოქმედება სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდება სამშენებლო მინის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლებზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისში, დიდი ლილო სოფ. ... განხორციელდა უწყებართვო მშენებლობა, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მინის ნაკვეთის მესაკუთრე ფ. ა-ი გარდაცვლილია, ზედამხედველობისა საქალაქო სამსახური უფლებამოსილი იყო სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა და კისრებინა მშენებლობის მწარმოებელი კონკრეტული პირისათვის, კერძოდ, დამკვეთზე და ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოებს, რომელსაც სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროისათვისაც წარმოადგენდა ზ. ა-ი;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის განკარგულება არ ენინააღმდეგებოდა სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ხორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, სადაც აქტის გამოცემისას ადგილი არ ჰქონია კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასა-

ჩივრა ზ. ა-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განჩინებით ზ. ა-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამარლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან უძრავი ქონება არ წარმოადგენს მის საკუთრებას, უნებართვო მშენებლობა მას არ უწარმოებია და მორინაალმდეგე მხარის მიერ შედგენილი სამართლებრივი აქტები უკანონოდა შედგენილი იმ პირის მიმართ, რომელიც სამართალურთიერთობის მონაწილე მოცემულ დავაში არ არის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №001660 მითითებაზე, რომელიც შედგენილია ზ. ა-ისა და ფ. ა-ის მიმართ, სადაც დაფიქსირებული არის, რომ ქ.თბილისში, დიდი ლილო, სოფელ ... მოქალაქე ზ. ა-მა და ფ. ა-მა განახორციელეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, შესაბამისი სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ აღნიშნული მითითების გაცემის მომენტში, მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ფ. ა-ის საკუთრებას, მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დარღვევა დაფიქსირდა შესაბამისი მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე და ადგილზე გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ უნებართვო მშენებლობას ახორციელებდნენ ფ. ა-ი და ზ. ა-ი, შესაბამისად, სამართალდარღვევის საქმისწარმოება დაწყებულ იქნა ორივე მოქალაქის მიმართ; ზ. ა-ს ეკისრებოდა სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება, რის გამოც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ ზ. ა-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია უნებართვო მშენებლობის განხორციელებას და იგი არ წარმოადგენს სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეს.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ა-მა, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ უნებართვო მშენებლობას ახორციელებდა არა ზ. ა-ი, არამედ ფ. ა-ი, ამას-თანავე იგი არ წარმოადგენს აღნიშნული ქონების მესაკუთრეს და არც ფ. ა-ის მემკვიდრეს, შესაბამისად, მისი სამართალდარ-ღვევის აქტებში სამართალდამრღვევად მოხსენიება და შემ-დგომში მისი დაჯარიმება კანონსაწინააღმდეგოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის სა-ფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანო-ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ა-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკ-მაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2012 წლის 28 თებერ-ვალს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპე-ციალისტებმა შეადგინეს მითითება №001660 ზ. ა-ისა და ფ. ა-ის მიმართ, სადაც დაფიქსირდა, რომ ქ. თბილისში, დიდი ლილო, სოფელ ... მოქალაქე ზ. ა-მა და ფ. ა-მა განახორციელეს ინდივი-დუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, შესაბამისი სამ-შენებლო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. დარღვევის გა-მოსწორების მიზნით, მოსარჩევებს მითითებით დაევალათ 15 დღის ვადაში, წარედგინათ მითითების გაცემის მომენტამდე არსებული შესაბამისი სამშენებლო სანებართვო დოკუმენტა-ცია ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის განხორციელება; 2012 წლის 2 აპრილს, თბილისის მერიის ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა შე-ადგინეს შემოწმების აქტი №001660, რომელშიც დაფიქსირდა ზ. ა-ის მიერ 2012 წლის 28 თებერვალს თბილისის მერიის ზე-დამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი მითითებით გან-საზღვრული პირობების შეუსრულებლობა; ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპრი-ლის №001660 დადგენილებით „ტექნიკური საფრთხის კონტრო-ლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22!-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათ-ვის ზ. ა-ი დაჯარიმდა 8000 ლარით ქ.თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის უნებართვოდ მშენებლობისათვის; ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპრილის №001660 დადგენი-ლება ზ. ა-ის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულ

იქნა ქ. თბილისის მერიაში. 2012 წლის 19 ივლისის ქ.თბილისის მერიის №2055 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ზ. ა-ის ად-მინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ.თბილისის მერი-ის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 23 აპ-რილის №001660 დადგენილება. 2012 წლის 28 თებერვალს, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მითითების გამოცემის დროს თბილისში, დიდი ლილო, სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა ფ. ა-ი, რომელიც 2012 წლის 16 მარტის სამოქალაქო რეესტრის საა-გენტოს ისანი-სამგორისს სამსახურის გარდაცვალების მონმო-ბის თანახმად, გარდაიცვალა 2012 წლის 15 თებერვალს; საქმე-ში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის 2012 წლის 6 მარტის ამო-ნაწერის თანახმად, ქ. თბილისი, დიდი ლილო, სოფელ ... მდება-რე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მითი-თებულია ფ. ა-ი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრე-ბას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ წარმოადგენს სამშე-ნებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, სა-კასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთი-თებს კასატორის მიმართ მიმდინარე სამართალდარღვევის საქ-მის წარმოებისას მოქმედ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლითაც გა-ნისაზღვრა იმ სამართალდამრღვევ სუბიექტ პირთა წრე, რო-მელზეც ვრცელდება აღნიშნული კანონის მოთხოვნები; კანო-ნის მე-2 მუხლის შესაბამისი პუნქტებით ამ კანონის მოქმედე-ბა სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ვრცელდებოდა იურიდიული და ფიზიკური პირების, ამხანაგო-ბების საქმიანობაზე, რომლის დროსაც ხორციელდება შენობა-ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემების ან კვანძების მშენებლობა, მონტაჟი, დემონტაჟი ან სხვა სპე-ციალური სამუშაოები; დამკვეთზე, რომლის ქმედებამაც გამო-ინვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში; სამშენებლო მი-ნის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, იმ შემთხვევა-ში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი. საკითხის ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქ-ცევის კოდექსი (14.2 მუხლი). ამდენად, კანონი სამართალდამ-რღვევ პირად არ მოიაზრებს მხოლოდ უძრავი ქონების მესა-კუთრეს, სამართალდამრღვევია ის პირი, რომელიც ანარმოებს უკანონ მშენებლობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაუდგე-

ნელია მშენებლობის მნარმოებელი პირი, მაშინ უკანონო მშენებლობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ქონების მესაკუთრეს ან მოსარგებლეს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო კონკრეტული სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში დაცულ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2012 წლის 28 თებერვლის №001660 მითითებაზე, დარღვევის სახეობის, შინაარსის და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომების გრაფაში აღნიშნულია, რომ ზ. და ფ. ა-ებმა სოფ., განახორციელებს ინდ. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, შესაბამისი სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. წარმოდგენილი მითითების ჩაბარება 2012 წლის 29 თებერვალს დადასტურებულია ზ. ა-ის ხელმოწერით, რომლითაც მან დარღვევის გამოსწორების მიზნით იკისრა ვალდებულება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენაზე ან ინდ. საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის განხორციელებაზე. შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე, სახეზეა ორივე სამართალდამრღვევის მიმართ სოლიდარულად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ფ. ა-ის ნაწილში სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო.

ამდენად, ზ. ა-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მშენებლობის დაწყებისას იგი არ იყო არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრე და არც ფ. ა-ის მემკვიდრეს და ამიტომ ბრალი არ მიუძღვის უკანონო მშენებლობაში, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქმეში დაცული მასალების საფუძველზე თავად კასატორი წარმოადგენს სამართალდამრღვევ პირს, რომელსაც დაეკისრა სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამოტანისას არ დაურღვევია პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უფლებად დარჩეულ საქმეთა პალატის 2013 წლის 12 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

დაჯარიმება უცეპართვო მშენებლობის გამო

განჩინება

№ბს-306-302(3კ-12)

17 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ- თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 25 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. გ-ებ მოპასუხების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 24 ნოემბრის №11780 განკარგულებისა და ქ. თბილისის მე-რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №00000574 დადგენილების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით ი. გ- ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. თბი-

ლისის მერიის 2009 წლის 24 ნოემბრის №11780 განკარგულები-სა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №0000574 დადგენილების ბა-თილად ცნობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ი. გ-ის მიმართ 2008 წლის 20 ოქტომბერს შედგენილ იქნა მიწერილობა №0000574, შეთანხმებული პროექტისა და სა-თანადო ნებართვის გარეშე უკანონოდ წარმოებული მშენებ-ლობისათვის. დამრღვევს მიეცა 30 დღიანი ვადა დარღვევის გამოსწორების მიზნით, ობიექტის პირვანდელ მდგომარეობა-ში მოსაყვანად ან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოსადგენად;

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტების მიერ, 2008 წლის 21 ნოემბერს შედგა შე-მოწმების აქტი, რომელშიც დაფიქსირდა, რომ ი. გ-ის მიერ მი-წერილობით მითითებული მოთხოვნები არ შესრულებულა;

2009 წლის 2 ოქტომბრის ქ. თბილისის მერიის ზედამხედვე-ლობის საქალაქო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა დადგენილე-ბა №00000574, რომლითაც ი. გ-ე დაჯარიმდა 10 000 ლარით უნე-ბართვო მშენებლობისათვის და 3000 ლარით მიწერილობის შე-უსრულებლობისათვის.

ქ. თბილისის მერის 2009 წლის 24 ნოემბრის №11780 დადგე-ნილებით, ი. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილ-და და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №0000574 დად-გენილება.

ი. გ-ემ 2008 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა იმ ობიექტზე ლეგალიზების გადაწყვეტი-ლების მიღება, რაზედაც ქ. თბილისის ზედამხედველობის სა-ქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 20 ოქტომბერს შედგენი-ლი იქნა №0000574 მიწერილობა. ქ. თბილისის მერიის ურბანუ-ლი დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა 2008 წლის 25 სექტემ-ბერს ი. გ-ეს დაავალა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდ-გენა. მის მიერ დადგენილ ვადაში ვერ იქნა წარდგენილი ქ. თბი-ლისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მითითებული დოკუმენტაცია.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე და მხარის ახსნა-გან-მარტებებზე დაყრდნობით სასამართლომ დადგენილად მიიჩ-

ნია, რომ ი. გ-ემ განახორციელა მშენებლობა შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გარეშე და მის მიერ არ იქნა შესრულებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 ოქტომბრის მინერილობა №0000574-ით განსაზღვრული მოთხოვნები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქ/ჳ ქვეპუნქტებით და ზემოაღნიშნული კანონის 4¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად მიუთითოთა, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ საქმის ნარმოებას იწყებს მინერილობის გაცემით. მინერილობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მინერილობის პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მინერილობა შესრულდა; ბ) მინერილობა არ შესრულდა; გ) მინერილობა არადროულად სრულდება. ამავე მუხლის 3¹-ე პუნქტის შესაბამისად თუ მინერილობა დროულად არ შესრულდა, დამრღვევი დაჯარიმდება მხოლოდ მინერილობის არადროულად შესრულებისთვის.

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 4¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქ/ჳ შესაბამისად, შემოწმების აქტის საფუძველზე, თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაზე, რომლის თანახმად უნიქართვო მშენებლობა – ეს არის მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან

ი. გ-ეს არ გააჩნდა სამშენებლო სამუშაოებისათვის შესაბამისი ნებართვა და მის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი მიწერილობაში მითითებული მოთხოვნები, ზედამხედველობის სამსახური კანონის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო და-ეჯარიმებინა სამართალდამრღვევი, როგორც მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, ასევე უნებართვი მშენებლობისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მიწერილობით არ ყოფილა განსაზღვრული ვადა დემონტაჟის განხორციელებისათვის, რასაც სასამართლო არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ, ი. გ-ის მიმართ 2008 წლის 20 ოქტომბერს შედგენილ იქნა №00000574 მიწერილობა, შეთანხმებული პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე უკანონოდ წარმოებული მშენებლობისათვის. დამრღვევს მიეცა 30-დღიანი ვადა დარღვევის გამოსწორების მიზნით, ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. ამდენად, დამრღვევს განსაზღვრული ჰქონდა ვადა დარღვევის აღმოფხვრისათვის, რაც ამ ვადაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ამავე ვადაში დემონტაჟის განხორციელების ვალდებულებას წარმოშობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ი. გ-ემ 2008 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა იმ ობიექტზე ლეგალიზების გადაწყვეტილების მიღება, რაზედაც ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2008 წლის 20 ოქტომბერს შედგენილ იქნა მიწერილობა №00000574. იმ პირობებში, როდესაც ი. გ-ემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა იმ ობიექტზე ლეგალიზების გადაწყვეტილების მიღება, ზედამხედველობის სამსახური ვალდებული იყო შეეჩერებინა მიწერილობით განსაზღვრული ვადის დინება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყეტილების მიღებამდე. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა 2008 წლის 25 სექტემბერს ი. გ-ეს დაავალა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ი. გ-ის მიერ დადგენილ ვადაში ვერ იქნა ნარდგენილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მი-

ერ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება უნებართვოდ აშენებული ობიექტის ლეგალიზების თაობაზე და შესაბამისად ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადგილი არ ჰქონია კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივნისის №3/4041-10 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს მშენებლობა ნანარმოები აქვს 2001 წელს და მიუთითა, რომ ასეთის დამადასტურებული სათანადო მტკიცებულება მოდავე მხარეს არ წარმოუდგენია, საქმეში წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიაში გამართული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის თანახმად კი აპელანტი განმარტავს, რომ მის მიერ სადაც მშენებლობა განხორციელებული იქნა 2008 წელს, კერძოდ, მის მიერ მოხდა ფანჯრების ამოშენება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არამართებულად ჩათვალა აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაჯარიმების მომენტში უნდა ეხელმდღვანელა 1997 წლის რედაქციით მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმინობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-ის

დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ი. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. გ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №00000574 დადგენილება მიწერილობის შეუსრულებლობისათვის ი. გ-ის 3000 ლარით დაჯარიმების ნაწილში გაუქმდა, უნებართვო მშენებლობისათვის ი. გ-ისთვის შეფარდებული ჯარიმის ოდენობა 10000 ლარი შემცირდა 2000 ლარით და განისაზღვრა 8000 ლარით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2002 წლის 27 აგვისტოს 8.5.213 დადგენილებით კეთილმოწყობისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის სამსახურის წინადადება მიღებულ იქნა და დაკმაყოფილდა დიღმის სარემონტო ქარხნის დასახლების 1-ლი კორპუსის, ბინა №16-ში მცხოვრები ი. და კ. გ-ის თხოვნა, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სანკვანძების აღსადგენად-სამშენებლო მასალებისა და სანკვანძების მოწყობილობების შესაძენად 1500 ლარის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მას გააჩნდა მშენებლობის კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც გამორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გასაჩივრებული აქტების მიღების შესაძლებლობას, რამდენადაც წარმოდგენილი დადგენილებით ი. და კ. გ-ისათვის ადგილი ჰქონდა მხოლოდ თანხის გამოყოფას, სარემონტო სამუშაოებისათვის და დადგენილებაში არაფერია ნათქვამი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით იგი ასევე ვერ იქნება მიჩნეული უკანონო მშენებლობის 2002-2003 წლებში წარმოების დამადასტურებელ მტკიცებულებად.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სადაცო სამართალურ-თიერთობის რეგულირების სფეროში განხორციელდა საკანონ-მდებლო ცვლილება, კერძოდ, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ სა-ქართველოს კანონი შეიცვალა „ტექნიკური საფრთხის კონტრო-ლის შესახებ“ კანონით, რომელიც არ განსაზღვრავს დამოუკი-დებლად, მიწერილობის შეუსრულებლობისათვის ცალკე საჯა-რიმო თანხის დაკისრების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, სამშენებ-ლო საქმიანობის კონტროლის რეგულაციები დადგენილია სპე-ციალური კანონით, მაგრამ ამ კანონით განსაზღვრულ სამარ-თალდარღვევას და მასზე ჩვეულებრივი წესით ვრცელდება ის ზოგადი ნორმები, რომელიც დადგენილია სამართალდარღვე-ვისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევისათვის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ანუ ვრცელდება ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევაზე. ალნიშნულიდან გამომდინა-რე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თბილისის მერიის ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომ-ბრის №000000574 დადგენილება უნდა გაუქმდეს ი. გ-ის 3000 ლარით დაჯარიმების ნაწილში, მიწერილობის შეუსრულებლო-ბისათვის.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ „ტექნიკური საფრთხის შესახებ“ კანონს დაემატა 22¹-ე მუხლის პირველი ნა-ნილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლითაც უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დად-გენილა მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რე-ზუმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანო-ნით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრე-ობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმე-ბას, კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე-8000 ლა-რით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საკა-ნონმდებლო ცვლილებების ფონზე, თბილისის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის №000000574 დადგენილება უნდა გაუქმდეს ი. გ-ის 3000 ლარით

დაჯარიმების ნაწილში, მიწერილობის შეუსრულებლობისთვის, უნებართვო მშენებლობისათვის ი. გ-ის ჯარიმის ოდენობა 10000 ლარი უნდა შემცირდეს 2000 ლარით და უნდა განისაზღვროს 8000 ლარით.

სააპელაციო პალატა, დანარჩენ ნაწილში დაეთანხმა გასაა-ჩივრებულ გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ აპელანტს არ გააჩნდა სამშენებლო სამუშაოებისათვის შესაბამისი ნებართვა და შესაბამისად, ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსი-ლი იყო, დაეჯარიმებინა სამართალდამრღვევი, უნებართვო მშე-ნებლობისათვის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითი-თება იმის შესახებ, რომ 2008 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი მიწერილობა №00000574 არ შეიცავს მითითებას დემონტაჟის გან-ხორციელების ვადის თაობაზე. საქმეში ნარმოდგენილია 2008 წლის 20 ოქტომბრის მიწერილობა №00000574, სადაც ცალსახა-დაა დარღვევის გამოსწორებისათვის დაწესებული 30 დღის ვა-და.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ი. გ-ის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტები შედგენილია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქ-მიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მოქმედების პერიოდში. მოცემული კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარ-ღვევის გამოსწორება განმარტებულია, როგორც არქიტექტუ-რულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველო-ბის ორგანოს მიწერილობის ან/და დადგენილების საფუძველ-ზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშე-ნებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვ-ნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (არ ესაჭიროება მშე-ნებლობის ნებართვა); ხოლო იმავე მუხლის „პ“ ქვეპუნქტით, განსაზღვრულია მიწერილობის არსი, კერძოდ, მიწერილობა არის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითება დამრღვევის მიმართ, განსაზღვრულ გონიურულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მიწერილობაში მითითებული პირობები არქიტექტურულ-სამშე-ნებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად. მიწერილო-ბა არის არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველი და იგი გასაჩინერებას ექვემდებარება დადგენილებასთან ერთად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა რა ის გარემოება, რომ

ი. გ-ის მიერ მშენებლობა ნაწარმოები იყო უნებართვოდ, მიიჩნია, რომ არსებობდა კანონიერი და ფაქტობრივი საფუძველი, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზე-დამხედველობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, გამოცემულიყო სადაც 2008 წლის 20 ოქტომბრის №0000574 მიწერილობა.

რაც შეეხება სააპელაციო წესით აპელანტის მიერ გასაჩივრებულ 2010 წლის 24 ივნისის საოქმონ განჩინებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩევეს მოწმეთა დაკითხვით სურს დაადასტუროს ის გარემოება, თუ როდის განხორციელდა მშენებლობა, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სხვა მტკიცებულებებით რომც დადასტურდეს უკანონო მშენებლობის განხორციელება 2001-2002 წლებში, აღნიშნული იმ პირობებში, როცა არ მომხდარა უკანონო მშენებლობის ლეგალიზაცია, ვერ გახდება სამართალდარღვევის გამოვლენის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება ი. გ-ის სასამართლო მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მერიამ, რომლებმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ასევე საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ემ და სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ი. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვე-

ბად.

კასატორმა ალნიშნა, რომ სადავო აქტები მიღებულია მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა წარმოება მიშენების ლეგალიზებასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-4¹ მუხლის მე-3¹ პუნქტის მე-2 წინადადების იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა არ შეაჩერა საქმის წარმოება, ხოლო სასამართლომ ალნიშნულ დარღვევაზე სათანადო ყურადღება არ გაამახვილა. ამასთანავე, კასატორის მოსაზრებით, მშენებლობა განხორციელდა 2001-2002 წლებში. შესაბამისად, თუ სააპელაციო სასამართლომ ეს მშენებლობა სამართალდარღვევად ჩათვალა, პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისას მოქმედი კანონით უნდა განსაზღვრულიყო. ამ პერიოდში მოქმედებდა კანონი „არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, რომლის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ჯარიმის ოდენობა შეადგენდა 2000 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. გ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადა ცნობილი, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 ოქტომბრის №00000574 მიწერილობით ი. გ-ეს დაევალა 30 დღის ვადაში ქ. თბილისში, ..., კორპუსი №1, ბინა №16-ის მიმდებარედ საცხოვრებელ კორპუსზე შეთანხმებული პროექტისა და სათანადო ნებართვის გარეშე უკანონოდ წარმოებული მშენებლობისათვის დარღვევის გამოსწორების მიზნით, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და აღნიშნული შენობისათვის დემონტაჟის ჩატარება.

2008 წლის 21 ნოემბრის შემოწმების აქტით დადგენილია, რომ ი. გ-ის მიერ მიწერილობით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შესრულდა. აღნიშნულის საფუძველზე კი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 2009 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა დადგენილება №00000574, რომლითაც ი.

გ-ე დაჯარიმდა 10000 ლარით უნებართვო მშენებლობისათვის და 3000 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის.

ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 24 ნოემბრის №1780 დადგენილებით ი. გ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება №0000574.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერის 26.12.2006წ. №22 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის“ დებულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, იმ ნორმატიულ აქტებს შორის, რომლებითაც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სამსახური, უთითებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკონონმდებლო აქტებისაგან. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მქაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით. კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლასანინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო 33-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედოს იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტე-

ბის ზუსტი შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ი. გ-ის მიერ წარმოებული შშენებლობა განხორციელებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევა არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია სამშენებლო რეგლამენტებისა და სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნათა სრული დაცვით არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები. მოცემულ შემთხვევაში დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ი. გ-ის მიერ ..., კორპუსი №1, ბინა №16-ის მიმდებარედ მშენებლობა განხორციელებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტისა და სამშენებლო ნებართვის გარეშე. აღნიშნულის საფუძველზე კი ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილი იყო გამოეცა ჯერ მიწერილობა, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემდეგ კი დადგენილება დაჯარიმების შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის თაობაზე, რომ სადაც აქტები მიღებულია მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა წარმოება მიშენების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, რის გამოც დადგენილება ეწინააღმდეგება დადგენილების მიღების დროს მოქმედ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4¹ მუხლის მე-3¹ პუნქტის, რომლის თანახმად არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შეაჩეროს მიწერილობით განსაზღვრული ვადის დინება უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექ-

ტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებაზე, რომლითაც ი. გ-ის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე კონკრეტული მითითებებით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. მოცემული განჩინებით საკასაციო სასამართლომ დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ „ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მიწერილობის მიღებიდან აქტის გამოცემამდე არ დაურღვევია კანონით განსაზღვრული ვადა, ვინაიდან „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 4¹-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას არქიტექტურულ-სამშენებლო სამსართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზაციის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ კასატორმა 2008 წლის 23 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმვარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა სადავო ობიექტზე ლეგალიზების გადაწყვეტილების მიღება, ზედამხედველობის სამსახურს ავალდებულებდა შეეჩერებინა მიწერილობით განსაზღვრული ვადის დენა უნდართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ობიექტის ან მისი ნაწილების ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო საქმეში დაცული მასალებით დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმვარების საქალაქო სამსახურმა 2008 წლის 25 სექტემბერს ი. გ-ეს დაავალა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ი. გ-ის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმვარების საქალაქო სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია“. ამდენად, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კასატორმა მიმართა რა 2008 წლის 23 სექტემბერს განცხადებით ქ. თბილისის მერიის ურბა-

ნული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა სადაც იმ პირები ტენის გადაწყვეტილების მიღება, ზედამ-ხედველობის სამსახურმა მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების თანახმად, შეაჩერა მიწერილობით განსაზღვრული ვადის დენა უნებართვო მიღების ნაწილის ლეგალიზების საკითხის გადაწყვეტილდე, ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დადასტურებულია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემამდე ლეგალიზაციის პროცესის მიმდინარეობა გადამოწმებულ იქნა არაერთხელ, აღნიშნულის გათვალისწინებით კი უსაფუძვლოა კასაციის მოტივები იმის შესახებ, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ენინააღმდეგება ზემოაღნიშნული კანონის მე-4¹ მუხლის 3¹ პუნქტის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი არ გამორიცხავს მოსარჩევლის ვალდებულებას დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს (სასკ-ის მე-3, მე-4, მე-17 მუხ., სსკ-ის მე-3, 102-ე მუხ.). საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას და მიმინევს, რომ მოსარჩევლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2002 წლის 27 აგვისტოს 8.5.213 დაგენილება) ადასტურებს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მიღებულ იქნა კეთილმოწყობისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის სამსახურის წინადაღება და დაკმაყოფილდა დილმის სარემონტო ქარხნის დასახლების №1 კორპუსის, ბინა №16-ში მცხოვრები ი. და კ. გ-ის თხოვნა, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სანკვანძების აღსადგენად-სამშენებლო მასალებისა და სანკვანძების მოწყობილობების შესაძნად 1500 ლარის გამოყოფის თაობაზე და არა კასატორის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მშენებლობის განხორციელებას, მშენებლობის ნებართვის გაცემას, კანონმდებლობით დადგენილი წესით პროექტის და სათანადო სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ მშენებლობა განხორციელებულია 2001-2002 წლებში, შესაბამისად მოცემულ სამართალ-

დარღვევის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემოქმედა ამ დროისათვის მოქმედი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, საკასაციო სასამართლო, ერთი მხრივ, თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის საფუძველზეც არ გაიზიარა მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძვლიანობა მონმეთა დაკითხის თაობაზე მშენებლობის განხორციელების პერიოდის დასადასტურებლად, ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ უნდაართვო მშენებლობა თავისი ბუნებით წარმოადგენს დენად სამართალდარღვევას. იგი უწყვეტად გრძელდება დროში და ითვლება დენადად მანამ, სანამ არ მოხდება მისი აღმოფხვრა, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. განსახილველ შემთხვევაში სადაც მშენებლობით, ვიდრე იგი არ აღმოიფხვრება, უწყვეტად ირღვევა შესაბამისი კანონმდებლობა და გაგრძელდება მანამ, სანამ სახეზე იქნება სამართალდარღვევა. ამდენად, მოსარჩელე სამართალდარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ვალდებული იყო დაეცვა კანონის მოთხოვნები და კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა წარმოებული მშენებლობა, რაც მის მიერ არ განხორციელდა. ამდენად, მოსარჩელის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა გამოიხატა არა მხოლოდ მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ ქმედებაში, არამედ ასევე უმოქმედობაშიც, იმის გათვალისწინებით, რომ ნივთზე საკუთრება არის უფლებათა და თანამდევ ვალდებულებათა ერთობლიობა, რიგ შემთხვევებში მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უძრავ ნივთს, რაც ამ სახის ნივთებზე უფლებათა წარმოშობა/შეცვლა/შეწყვეტის განსაკუთრებული რეჟიმის არსებობითაც დასტურდება. სწორედ მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემდგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაშიც, სწორედ ი. გ-ეს ეკისრებოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამშენებლო ნორმატივებთან

შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება. აღნიშნულის შესახებ ი. გ-ე გაფრთხილებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2008 წლის 20 ოქტომბრის მიწერილობით. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზედამხედველობის სამსახურმა სადაც აქტის გამოცემისას სწორად იხელმძღვანელა სამართალდარღვევის გამოვლენის მომენტისავის მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, რამდენადაც მოცემული სამართალდარღვევაუკანონობრივი მშენებლობის სახით – არ დასრულებულა 2001 წელს, ამდენად, ი. გ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის მიერ სამართალდარღვევა ჩადენილია 2001 წელს და შესაბამისად უნდა შეუმცირდეს დაკისრებული სანქცია იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს, გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ლ ა:

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარიშვილა უნებართვო მშენებლობის გამო

განხილვა

№ბს-4-4 (კ-12)

25 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 27 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ა-მა მოპასუხების ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ქ. თბილისის მერიის ზედამ-
ხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №000298 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის №490 განცარგულების ბათილად ცნობას, ასევე ქ. თბი-
ლისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ
დაკისრებული ჯარიმის – 10000 ლარის, საურავისა და სხვა თან-
ხებისაგან მოსარჩელის გათავისუფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2011 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი.
ა-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია,
რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსა-
ხურის თანამშრომლების მიერ 2010 წლის 29 ოქტომბერს შედ-
გენილი იქნა №000298 მითითება, რომელშიც აღინიშნა, რომ ი.
ა-მა ქ. თბილისში, ... დასახლებაში, ... ქუჩის მიმდებარედ საც-
ხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები აწარ-
მოა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე. დარღვე-
ვის გამოსწორების მიზნით ი. ა-ს დაევალა ობიექტის პირვან-
დელ მდგომარეობაში მოყვანა ან მშენებლობის სანებართვო
მონმობის წარმოდგენა. მითითების მიხედვით დამრღვევს დარ-

ღვევის გამოსწორების მიზნით მიეცა 15 დღის ვადა. ქ. თბილის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2010 წლის 15 ნოემბერს შედგენილი იქნა №000298 შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით ი. ა-მა არ შეასრულა 2010 წლის 29 ოქტომბრის მითითება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №000298 დადგენილებით ი. ა-ი დაკარიმდა 10000 ლარით უნებართვო მშენებლობისთვის.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 დადგენილება ი. ა-მა 2011 წლის 18 თებერვალს გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიაში. ქ. თბილისის მერის 2011 წლის 21 მარტის №490 განკარგულებით ი. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2010 წლის 15 ნოემბერის შემოწმების აქტით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ ი. ა-ის მიერ სამშენებლო საქმიანობა ნაწარმოები იქნა შესაბამისი ნებართვის გარეშე და მიწერილობით მითითებული მოთხოვნები არ შესრულებულა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60'-ე მუხლზე და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

„ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონტებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება. აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად: უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის

ან/და დემონტაჟის წარმოება: მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდი-სა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქ. თბილისის ტე-რიტორიაზე – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარით;

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მო-ცემული კანონის მე-13 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ შემონმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძ-ველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედვე-ლობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარი-მების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დე-მონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესა-ხებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „მშენებლო-ბის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შე-სახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაზე, რომლითაც უნებართვო მშენებლობა არის მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებო-ბების მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმო-ბით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ.

აღნიშნული დადგენილებისა და „ტექნიკური საფრთხის კონ-ტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩინა, რომ ი. ა-ის მიერ ნაწარმოები სამუშაოე-ბი მიეკუთვნებოდა ისეთი სახის სამშენებლო საქმიანობას, რო-მელსაც ესაჭიროებოდა სათანადო წესით გაცემული მშენებლო-ბის ნებართვა. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ი. ა-ის მი-ერ სამშენებლო საქმიანობა ნაწარმოები იქნა შესაბამისი ნე-ბართვის გარეშე და მიწერილობით მითითებული მოთხოვნები არ შესრულებულა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ კანონშესაბამისად იქნა მიჩნეული გადაწყვეტილება სა-მართალდამრღვევი სუბიექტის დაჯარიმების თაობაზე.

სასამართლომ ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის

№490 განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში ასევე ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესნავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისად, არ არსებობდა ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის №490 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ა-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1., „მუხლისა და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.12. მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №000298 დადგენილება და ქალაქ თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის №490 განკარგულება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ აპელანტი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან, ქ. თბილისში, ... დასახლება, ... ქუჩის მიმდებარედ, ანარმოა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კანონით დადგენილი წესით გაცემული მშენებლობის ნებართვისა და შეთანხმებული პროექტის გარეშე, აპელანტი ითხოვს, სასამართლომ გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ არა აქვს შემოსავალი, ჟყავს ორი არასარულწლოვანი შვილი, რომელთაგან ერთს აქვს ჯანმრთლობასთან დაკავშირებული პრობლემა და სხვაგან არსად არ აქვს ნასასვლელი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები არ წარმოადგენენ სადავო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათილად ცნობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით

არ დასტურდება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადანყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გამასაჩივრა ი. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაქმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლით პირველი კლასის შენობა-ნაგენბების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა, პირველ კლასს განეკუთვნება 60 კვ.მ. სართულების იატაკის დონებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა კანონი, რომელიც არ უნდა გაეთვალისწინებინა, კერძოდ: „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის „ა“ პუნქტი და ზემოაღნიშნული დაგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. კასატორი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თვლის, რომ მშენებლობის ნებართვა მას არ ესაჭიროებოდა, ვინაიდან შენობა-ნაგებობა განეკუთვნებოდა პირველ კლასს, ხოლო თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა დააჯარიმა იმ კანონის საფუძველზე, რომელიც ვრცელდება ისეთ კატეგორიის საქმეებზე, სადაც მშენებლობის ნებართვაა საჭირო. პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოებები და არ დააკმაყოფილეს სასარჩელო მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანო-

ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ა-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის №000298 მითითებით, გამოვლენილ იქნა ... დასახლება, ... ქუჩის მიმდებარედ ი. ა-ის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე. დარღვევის გამოსწორების მიზნით ი. ა-ს დაევალა ობიექტის პირვენდელ მდგომარეობაში მოყვანა ან შემცირებლობის სანებართვი მოწმობის წარდგენა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში. ამასთანავე, დარღვევის გამოსწორების ვადა განისაზღვრა 15 დღით, ამასთანავე, დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, იგი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ა“ პუნქტით გაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი დაჯარიმების თაობაზე. საქმეში წარმოდგენილ მითითებას ხელს აწერს ი. ა-ი 2010 წლის 29 ოქტომბერს. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2010 წლის 15 ნოემბრის №000298 შემოწმების აქტით ი. ა-ის მიერ 2010 წლის 29 ოქტომბრის №000298 მითითებით გათვალინებული პირობები არ იქნა შესრულებული.

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №000298 დადგენილებით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მოქ. ი. ა-ი დაჯარიმდა 10 000 ლარით ქ. თბილისში, ... დასახლება, ... ქუჩის მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის უნებართვი მშენებლობისათვის, მას ასევე დაევალა ქ. თბილისში, ... დასახლება, ... ქუჩის მიმდებარედ უნებართვიდ აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.1 მუხლის შესაბამისად, ჯარიმის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში და გადახდის შემთხვევაში შესაბამისი ქვითრის წარდგენა. განემარტა ჯარიმის გადაუხდელობის შედეგები, გასაჩივრების წესი და ვადა.

ქალაქ თბილისის მერიის 2011 წლის 21 მარტის №490 განკარგულებით ი. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №000298 დადგენილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა გამოავლინოს და აღკვეთოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით წარმოებული მშენებლობები.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა არის უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, განსაზღვრული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია. ამავე მუხლის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას ან/და შეუსრულებლობას, რისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ კანონით. ამავე კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ტექნიკური ბარიერებისა და რისკების გათვალინებით სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა. საკასაციო სასამართლო „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 74-ე პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ უნებართვო მშენებლობა გულისხმობს მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობას მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსებას სანებართვო მოწმობით გამოყენებული პერიოდის გასვლის შემდეგ.

საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია ის გარემოება, რომ ი. ა-ის მიერ წარმოებული მშენებლობა განხორციელებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ა“ პუნქტით უნებართვო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით. ამასთან, აღნიშნულ კანონში 20.12.2011 №5558 საკანონ-

მდებლო ცვლილებით „ტექნიკური საფრთის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლს დაემატა 22¹-ე მუხლი, რომლითაც უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით. უნებართვო მშენებლობისათვის სამშენებლო პასუხისმგებლობის ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს აგრეთვე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქციაც; აღნიშნული ნორმის თანახმად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას: სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით უდავოდ დადგენილია, რომ კასატორმა ი. ა-მა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე განახორციელა ისეთი სახის სამშენებლო საქმიანობა, რომელსაც ესაჭიროებოდა სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვა, რითაც მან ჩაიდინა სამშენებლო სამართალდარღვევა, რომლისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია როგორც სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის („ტექნიკური საფრთის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი), ასევე დღეს მოქმედი კანონმდებლობით (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ 28.06.2013წ. №798 კანონით შეტანილ ცვლი-

ლებებზე, რომლითაც კოდექსს დაემატა 103¹-ე მუხლი, რომლის თანახმად სამართალდამრღვევ სუბიექტებს, რომელთაც სრულად არ აქვთ გადახდილი მათზე დაკისრებული ჯარიმა და საურავი, მიეცათ ჯარიმისა და საურავის გადაუხდელი ნაწილი-საგან განთავისუფლების შესაძლებლობა კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში სამართალდარღვევის გამოსწორების შემთხვევაში. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-15 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტით სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორებად მიიჩნევა სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებით არ დასტურდება ზემოაღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების ფაქტი, რაც გულისხმობს უკანონო მშენებლობის დემონტაჟს ან სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების ან/და დადგენილების საფუძველზე დამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტაციის ან/და სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას (არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო სწორედ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში საქმის განხილვისას ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არაარსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ი. ა-ის საკასაციო საჩივრის დაკმა-

ყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქონელი

ნებართვა მშენებლობაზე	3
მშენებლობის ლეგალიზაცია	30
პასუხისმგებლობა უკანონო მშენებლობის გამო	
დაჯარიმება უნებართვო მშენებლობის გამო	42; 63; 75
უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმების სუბიექტი	111
დაჯარიმება უნებართვო მშენებლობის გამო	119; 135

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge